140
1985

ISSN 0132 — 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

6
1985



„მზად ვართ!“ ასე უპასუხებენ ამიერიდან პარტიისა და ხალხის ყოველ მოწოდებას ლია მერებაშვილი, დათო კანდელაკი და მარინე ქულიაშვილი.

# დაიმახსოვრეთ ის დღე

მ. კარგარეთელი

საგულდაგულოდ ემზადებოდნენ ამ დღისათვის თბილისის 69-ე საშუალო სკოლის III-გ კლასის ოქტომბრელები. ლამის გაკვეთილებიც გადაავიწყდათ — გულდასმით ეცნობოდნენ პიონერული ორგანიზაციის ისტორიას, სწავლობდნენ ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირებას და კანონებს, ცალკე კიდევ წარმოსადგენი მუსიკალურ-ლიტერატურული

ყურადღებით ისმენენ მედგა მასწავლებლის დარიგებას ზაურ ანდრიაშვილი, რუსუდან ბრეგაძე, ნათია ჯანგირაშვილი და ალექსი ბაბაშვილი.



მარშრუტზე:

## „პიონერები — კომკავშირის ცვლა“

მონტაჟის ლექსებს იზეპირებდნენ, ხვეწდნენ და სრულყოფდნენ თითოეულ საცეკვაო ნომერს.

მერე ის ნანატრი დღეც დადგა.

ღელავდა ყველა — ოცდათოთხმეტი ოქტომბრელიც, დარბაზში თავშეყრილი მათი მშობლებიც და, რაღა თქმა უნდა, მედიკო მასწავლებელიც, — მესამეკლასელების დიქტორის ავისმაუწყებელი ხმა და შეწყდა ქვეყნის მშვიდობიანი შრომა, სამშობლოს დასაცავად დაირაზმა ყველა. ქალებმა ფრონტზე გააცილეს შვილები, ქმრები, ძმები. გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს დამცველები. ბევრი, ძალზე ბევრი შეეწირა მამულის თავისუფლებას. ხალხმა უკვდავყო მათი სახელები. არასოდეს დაივიწყებენ თაობები ზოია რუხაძეს, თინა იოსებიძეს, მირზა გელოვანს, შოთა გამცემლიძეს... ხატოვნად, ლიტერატურული



ჯერ-ჯერობით ერთი სიმაღლისანი არიან გოჩა ბერიანიძე და ეს ვაშლის ხე, მერე კი ვნახოთ...



აუცილებლად იხარებს კოტესა და გიორგის მიერ დარგული ნერგი.

დამრიგებელი და უპირველესი მეგობარი მედეა ბექანიშვილი.

დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული მონტაჟი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების სცენით დაიწყეს ნორჩებმა. მერე გაისმა

და ქორეოგრაფიულ-მუსიკალური მასალის უნარიანი გამოყენებით წარმოადგინეს ნორჩებმა დიად გამარჯვებამდე საბჭოთა ხალხის მიერ გავლილი გზა და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ შინმოუსვლელთა სახელებს დავიწყება არ უწერია.

და აი, ყველაზე საზეიმო წუთებიც დადგა. მოწიწება და დაბნეული მღელვარება იყო აღბეჭდილი გოგო-ბიჭების სახეებზე. მერე კი გაისმა სხაპასხუპით წარმოთქმული პიონერის საზეიმო დაპირების სიტყვები: „... მე, რუსუდან ბრეგვაძე, ნათია ჯანგირაშვილი, ზაურ ანდრიაშვილი, ნიკო ასანიძე, გვანცა სოხაძე, დათო კანდელაკი, გოგი კუდუხაშვილი, მარინე ძულიაშვილი, შმაგი ქუმარიტოვი, ეკა ლოთიკაშვილი, ალექსი ბაბაშვილი, კოტე შენგელაია, გიორგი გარიშვილი, გოჩა ბერიანიძე...“ ოცდათოთხმეტმა ხმამ გაიწკრიალა, ოცდათოთხმეტმა ნორჩმა პიონერმა აღუთქვა სამშობლოსა და პარტიას, ამხანაგებს, მშობლიურ ხალხს ლენინის ანდერძის ერთგულება, კომუნისტური პარტიის საქმისათვის მზადყოფნა და თავდადება. შემდეგ ზეიმზე მოწვეულმა სტუმრებმა ნორჩებს წითელი ყელსახვევები და პიონერის სამკერდე ნიშნები გაუკეთეს.

ამ საზეიმო დღის აღსანიშნავად სკოლის ეზოში ნორჩების ხელით ვაშლისა და მსხლის 40 ნერგი დაირგა.

ოცდათოთხმეტ გოგონასა და ბიჭუნას მკერდზე აფრიალდა იმ დღეს ალისფერი ყელსახვევი, ოცდათოთხმეტი ნორჩი ლენინელი შეემატა საკავშირო პიონერული ორგანიზაციის რიგებს. საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება ელით მათ წინ, ბევრი კეთილი და სასარგებლო საქმის გაკეთება, საპასუხისმგებლო დავალება-ამოცანის შესრულება მოელის თითოეულ მათგანს და ეჭვი არ არის, რომ ისინი


საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
პიონერი
6 ივნისი 1985
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა





17.977
საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეს ბიჭებიც ისე უერთგულებენ სამშობლოს, როგორც იმ შინმოუსვლელებმა უერთგულეს, მათ რომ სცენაზე განასახიერეს.

ამ სურათზე აღბეჭდილია მხატვრულ-ლიტერატურული მონტაჟის ფრაგმენტი.



აქტიური საქმიანობით საკუთარ წვლილს შეიტანენ ქვეყნის შემდგომ წინსვლაში.

გავა დრო, დაიზრდებიან, დაფრთიანდებიან ჩვენი ნორჩები, ბევრ სიხარულსა და მღელვარებას არგუნებს მათ ცხოვრება, მაგრამ ამ დღეს განცდილს, როცა ისინი პიონერთა რიგებში მიიღეს, ალბათ ვერაფერი შეედრება, მით უმეტეს, რომ ეს იყო 1985 წლის, დიადი გამარჯვების 40 წლისთავის საიუბილეო გაზაფხულის მშვენიერი, ღიმილიანი დღე.

გ. ცაგარლის ფოტო.

## შენი რესპუბლიკის ხუთწლედი

ჟინვალში დეპეშა მოვიდა სსრ კავშირის ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკის მინისტრის ხელმოწერით. დეპეშაში ეწერა, რომ ჟინვალის ჰიდროელექტროსადგურის პირველი და მეორე აგრეგატი 1985 წლის 30 აგვისტოს უნდა გაიშვას, მესამე და მეოთხე კი — წლის ბოლოსთვის, ახალი, 1986 წლის დადგომამდე.

ამრიგად, მშენებლებმა ამ წლის ბოლოს მთლიანად უნდა დაამთავრონ და გაუშვან ჟინვალჰესი.

ეს ნიშნავს, რომ საჩქაროდ და საგულისგულოდ უნდა გაიწმინდოს წყალსაცავი, ამოიძირკვოს შიგ ჩარჩენილი ფესვები, გადაადგილდეს გადასატანი ძეგლები თუ დროებითი სამშენებლო ნაგებობანი, დამთავრდეს და გასუფთავდეს წყალსაგდები თუ წყალმიმღები გვირაბები, მთლიანად დამონტაჟდეს აგრეგატები და ლიფტები, რომლებიც 80 მეტრის სიღრმეზე თვრამეტი გაჩერებით ჩადიან, მოპირკეთდეს მიწისქვეშა ელექტროსადგურის კედლები და იატაკები, დასრულდეს ღია ქვესადგური, წყლის მისაღებად მომზადდეს გვირაბები, არხები, ბუფერული აუზი, და კიდევ ვინ იცის, რამდენი მსხვილმანი და წვრილმანი...

ეს ნიშნავს, რომ მშენებლებმა, მომმარაგებლებმა, მემონტაჟეებმა, მძღოლებმა, ცემენტის ქარხანაში თუ პოლიგონზე მომუშავეებმა დღე და ღამე უნდა გაასწორონ.

ამ სამუშაოთა, ანუ ამდენი სამუშაოს დასრულება-დამთავრებისა და დამში მოყვანის შემდეგ შეიძლება გაიშვას ჟინვალის ჰიდროკვანძი, რომლის დანიშნულებაა დედაქალაქის, მთელი დუშეთ-მცხეთის მხარის და აქაური სოფლების მომარაგება ელექტროდენით, სასმელი და სამეურნეო წყლით.

დახეთ, რა აზრტევადი სიტყვაა „გაიშვას“. დასამთავრებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლზე ან ქარხანაზე ხომ არ ვამბობთ, — გავუშვათო, ჰესი კი უნდა გავუშვათ, თითქოს დაჭერილი იყოს.

ალბათ ამისი პირველმთქმელი ვერც კი მიხვდა, ერთი სიტყვით ასეთი ტევადი სახე რომ შექმნა. მაგრამ რაკი სიტყვამ საქმის დედაარსი სრულად გამოხატა, სამუდამოდ დამკვიდრდა ენაში.

ჰესზე — ნამდვილად „გაშვება“ ითქმის.

ასმეტრიანი სიმაღლის კაშხალი ვეება ზღვად აგუბებს დაუდეგარ არაგვს და მხოლოდ ორ ადგილას უტოვებს გზას და სავალს. ერთს



# როცა ყინვალჰესს გაუშვებენ...

მედეა შაველიაშვილი

ვ. ცაგარელის ფოტო

წყალსაშვი ანუ წყალსაგდები ჰქვია, მას სეგმენტური საკეტი ხურავს, როცა წყალსაგდებს გახსნიან, — ზედმეტ წყალს გზას მისცემენ, გადააგდებენ; მეორეს — წყალმიმღები, მისი ვეება ხახა კაშხალის თითქმის შუაწელთან იწყება. თუ ჯამბარებზე დახვეული მკლავის სისქე რკინის თოკები მას, ეგრეთ წოდებულ ბრტყელ საკეტს ასწევენ, წყალმიმღები გვირაბში გაუშვებს წყალს — წყლის უძლიერესი ჭავლი ადგილზე გაქვავებულ ტურბინებს დაეტაკება და გაუშვებს, დააბზრიალებს. წარმოქმნილი დენი მავთულებს გადაეცემა. ისინიც გაუშვებენ, გაატარებენ და ქალაქებს თუ სოფლებს, ქარხნებს თუ სხვა მომხმარებლებს გადასცემენ.

ამრიგად, წყალმიმღებში წყლის გაშვებით იწყება ჰესის გაშვება-ამუშავება.

კენჭი რომ კენჭია, წყალმიმღებში ისიც არ უნდა შეიპაროს, თორემ, როცა ტურბინა დიდი სიჩქარით დატრიალდება, შიგ ჩავარდნილი კენჭი აჩქარდება, მის გვერდზე ცეკვა-თამაშს გააჩაღებს, კედლებს ერთიანად ამოტვიფრავს, ამოჭამს და იმ ძვირადღირებულ ტურბინას მეტისმეტად ნაადრევად გამოიყვანს მწყობრიდან. სარემონტოს გახდის.

წყალმიმღები კაშხალის შუაწელიდან იღებს წყალს. რაკი წყალსაცავის ქვედა ნაწილში მოთავსებული წყალი ხელუხლებელი და გამოუყენებელი რჩება, ამ ნაწილს წყალსაცავის „მკვდარი მოცულობა“ ეწოდება.

ადიდებული და გადარეული არაგვი მთებიდან უშველებელ ქვებს და ლოდებს მოაგორებს. თუმცა არც დადინჯებული აკლებს ხელს, მაშინაც კარგა ბლომად ქვიშა და ნაშალი მოაქვს. ჰოდა, ის „მკვდარი მოცულობა“ იმ ქვების, ლოდების, ქვიშისა თუ ნაშალის ჩასალექ-ჩასატოვებლადაა განკუთვნილი. ეს უშველებელი საკუჭნაო მრავალი ათეული წლის მანძილზე ეყოფა ნატანის შესანახად არაგვს. მერე მასაც გაათავისუფლებენ და გაასუფთავებენ. მაგრამ ეს მერე, დიდი ხნის მერე იქნება.

ზამთარში დადინჯებული არაგვი კარგზნიან მდინარესავით მორჩილად მოედინება თავის ვიწრო კალაპოტში, მის ნაპირებზე ბატკნებივით დაყრილან ყორის თეთრი ქვები... ირგვლივ სიჩუმე გამეფებულა, მდინარისა ჩქამიც არ ისმის.

მაგრამ გაზაფხულის ერთი თვალის გახელა, მზის ერთი გაჭახჭახება და — არაგვიც მაშინვე აიქოჩრება, აბობოქრდება, ახმაურდება, გადაირევა, გაიზრდება, კალაპოტს აღარ დასჯერდება, ნაპირებს თავზე გადაევლება, დარაჯად ჩარიგებულ მთებთან ამაღლაურდება და ჩამოიტანს, მაგრამ რას ჩამოიტანს! ზევით მდებარე ყველა ხევიდან, ყველა მთიდან თუ ყინულეთიდან ჩამომდინარე წყალს აქ ჩამოიტანს მტკვრისთვის უკლებლივ ჩასაბარებლად...

თუმცა ამჯერად მეტისმეტად ძუნწად მიაწვდის, რადგან მისი წყალი ყინვალის ჰიდროკვანძს სჭირდება უკვე.

თუ წყალსაცავი არ შეიტბორებოდა, თუ შუაწელს არ აავსებდა, წყალმიმღები წყალს ვერ გაუშვებდა და, მაშასადამე, იმ დეპეშით მიღებული დავალებაც არ შესრულდებოდა.

გაზაფხულს ღვთის წყალობასავით ელოდნენ მშენებლები. ღვთის მადლით, ზამთარმა არ დაგვამადლა და ბევრი თოვლი მოვიდაო, ხარობდნენ.

დიდი ილია ბრძანებდა, რომ სიტყვა „წყალობა“, ისევე როგორც შეწყალება-დამწყალობება და სხვანი, წყლისაგან ყოფილა წარმოშობილი, რადგან ქართველ კაცს ღმერთთან უპირველესი სათხოვარი იმთავითვე წყალი ჰქონია.

იმ თავიდან ვიდრე დღევანდლამდე.

ახლა გვჭირდება აჩქარება, თუ გვჭირდება.

ანანურის განახლებულ ციხესთან თუღა მიუსწრებ ხელუხლებელ ჭალებს და ბაღებს, თორემ ქვევით, კამხალთან ყველაფერი გაუჩეხავთ და გაუკაფავთ.

ეგება უკანასკნელად შევავლო თვალი კამხალის ფეხთით გათხრილ ათასწლიან ნანგრევებს, სახლადყოფილი ქვითკირის კედლებს, ყორის ქვით ნაგებ განიერ გალავნებს, მარნებს, სადაც დიდმუცელა ქვევრები სახურავებად ბრტყელ ქვებს ირგებდნენ, სამჭედლოებს, რომლებიც, ვინ იცის, რამდენი წლის მანძილზე მეომრისთვის იარაღს, ხოლო მშვიდობიანი მშრომელისთვის ნალებს და სახნისებს ჭედდნენ. შენმა თანატოლებმა უკვე ინახულეს ბოძი, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო. როგორც ეტყობა, მოულოდნელად შემოსეულმა მტერმა ჯერ ცეცხლს მისცა აქაურობა, მერე დაანგრ-დაარბია და მიწაში მოხვედრილმა, დანახშირებულმა ბოძმა ის უძველესი ამბავი გუშინ მომხდარივით გვიამბო დღეს.

ეს ნანგრევები ჯერ კიდევ შენს დაბადებამდე გამოსტაცეს მიწას და დავიწყებას არქეოლოგებმა — სიმონ რამიშვილმა, ალექსანდრე ბოხოჩაძემ და ბევრმა სხვამ. უნდა გენახა, რა სათუთად და მოკრძალებით იღებდნენ ხელში თითოეულ ქვას, დოქის თითოეულ ნატეხს, პაწაწინა მძივს და საყურეს. ნაზი ფუნჯით ასუფთავებდნენ, სულს უბერავდნენ, საუკუნეების მტვერს აცლიდნენ. ეს უტყვი ქვები თუ ნამსხვრევები მეტყველივით გვიყვებიან ჩვენი ქვეყნის წარსულს, ჩვენს ძველთაძველ ცხოვრებას, ჩვენს ისტორიას.

არქეოლოგებთან ერთად გულმოდგინედ მუშაობდნენ ჟინვალის საშუალო სკოლის მოსწავლეებიც. მეცხრეკლასელებმა ოცდაათკაციანი ბრიგადა შექმნეს. ყმაწვილები თან ამ საქმის დიდ ენთუზიასტებს ეხმარებოდნენ, თან საკუთარი ქვეყნის წარსულს, მის სიყვარულს სწავლობდნენ მათგან.

რასაც არ იცნობ, რაც არ იცი, ხომ ვერც შეიყვარებ.

ისტორია დღევანდელი დღითაც იწყება. რასაც დღეს დღევანდელობა ჰქვია, ხვალ ისტორიად გადაიქცევა. შენ თვითონაც ამის მომსწრე და მონაწილე ხარ. შენ რომ დღეს არაგვისპირზე ბალახს ფეხით გათელავ, ხვალ ეგ ადგილი ზღვის ფსკერი გახდება.

...გაზაფხულიდან მოყოლებული ვიდრე ზამთრის პირამდე, არაგვის ტყე-ჭალა ყველა სტუმარს და მსურველს გულუხვი მასპინძელივით სთავაზობს თავის ნობათს.

გაზაფხულიდან ვიდრე გვიან შემოდგომამდე ტყეში დარბიან ჩვენი თანატოლები, ჟინვალის საშუალო სკოლის მოსწავლეები — გია და ლია ტურძელაძეები, დათო გიგაური, ნოდარ და ზაზა მუზაშვილები, ეკა ბაშარული, მაკა თაბუკაშვილი, მარინა, ზურიკო, გიორგი ბანცურები და მრავალნი სხვანი. კალათებით, პარკებით, ტომრებით აგროვებენ ტყის დაუმადლებელ საჩუქარს და სკოლას აბარებენ.

ამ დროს სკოლა მოსავლის მიმღებ პუნქტს ემსგავსება. ტალანში შემოგორებულ ვეება სასწორზე, სადარბაზო კართან იწონება და პირგაღეღილ ტომრებში იყრება ლაქწასმულივით აპრიალებული შინდის თუ ასკილის ნაყოფი. გასულ წელს სამი ტონა შინდი, 800 კილო ასკილი, 400 კილო ანწლი, ნახევარი ტონა ქაცვი ჩააბარა სკოლამ სახელმწიფოს.

ჟინვალის საშუალო სკოლას და ჰესის მშენებლებს მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან. ოთხსართულიანი სკოლა ხომ აუშენეს და აუშენეს ჟინვალჰესელებმა ბავშვებს, არც მერე მოუკლიათ მისთვის ზრუნვა და ყურადღება. წელს, მაგალითად, მთლიანად გა-



ჟინვალის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა დირექტორ გიორგი წიკლაურთან ერთად ექსკურსია მოაწყვეს საგუგარზე.

# კომკავშირი

შარაზე სისხლის გუბე და მტვერი,
სისხლში მოსვრილი ქოჩორი ურჩი,
ჯიქურ მოდიხარ,
გამჭოლი მზერით,
რომ კიდევ ერთხელ ჩამხედო სულში,
ბავშვივით ვდგავარ მე შენს წინაშე
და შენს ანთებულ სიმღერებს ვყვები,
დგახარ ტალახში,
დგახარ წვიმაში
და მხრებით მიგყავს სიკეთის გზები.
აღრიალებულ ქარში,
გრიგალში
ქუხს და გუგუნებს შენი ძახილი,
ვიცი, მომავლის გმირად მიგაჩნდი
და იმად მიხმობ ხალხის სახელით.
ხალხის სახელით ქარს და გრიგალებს



აწყდება ჩემი ცხოვრების გემი,
შენსკენ ლტოლვაში არ დავიღალე,
ხარ სიყვარული პირველი ჩემი!
მიჭიხვინებენ ცხენები ქარში,
ერევა სიკვდილს,
ტიფსა და შიმშილს
მარად დევგმირი და მარად ბავშვი
კომკავშირელის ამაყი ჯიში.
ჰმატებ ჩემს დღეებს,
დღეებს სისხლსავსეს
მგზნებარე გულის მზესა და ხალისს.
რა დიდი ვალი დამდე, ძვირფასო,
იმ ქარიშხლების,
დღეის და ხვალის...

**მზია ხეთაგური**

მოიცვლება სკოლის შენობის გადასახურავი თუნუქი, გარემონტდება სპორტდარბაზი.

არც მოსწავლეები რჩებიან ვალში. ამათაც თავიანთი გეგმები აქვთ დასახული მიმდინარე წელს. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ამხელა დაბის ტერიტორიის ქვა-ღორღისაგან გაწმენდა, გამწვანება და ნერგების მოვლა-პატრონობა.

გასულ წელს მოსწავლეებმა სამოცდაათი კაკლის ნერგი ჩარგეს, არანისის ფერდობი ერთიანად სანერგედ გადააქციეს. ცალკე ათი ათასი ძირი პაწაწინა ნაძვი დარგეს. ორიოდე წლის შემდეგ ის გახარებული ნაძვები სხვაგან გადაირგვება და გაამშვენიერ-გააჯანსაღებს აქაურობას.

წყალი ყოველგვარი სიცოცხლის უპირველესი პირობათაგანია. ნატახტრის, ჰოპორტის, ბულაჩაურის, ხრამის შესართავების და სხვა წყალსადენები მაცოცხლებელი არტერიებივით შეუწყვეტლივ ამარაგებენ სასმელი წყლით დედაქალაქს, მაგრამ ქალაქისა და მისი შემოგარენის მაცხოვრებელთა რიცხვი და, ამის შესაბამისად, წყალზე მოთხოვნილება ისეთი სისწრაფით იზრდება, რომ ხალხი როგორც სასმელი, ისე სარწყავი წყლის მწვავე ნაკლებობას განიცდის.

ჟინვალის ჰიდროკვანძს, გარდა ელექტროდენით რესპუბლიკის მომარაგებისა, ამ ამოცანის გადაჭრაც ევალება. მან აქაურობას ყოველ წამში ხუთი კუბმეტრი სასმელი და თერთმეტი კუბმეტრი სარწყავი წყალი უნდა მიაწოდოს.

მშენებლობის პროცესში უამრავი სხვა სასარგებლო საქმე გაკეთდა. აშენდა ხუთი ახალი სოფელი: ჟინვალი, ჩინთი, ანანური, თვალივი, გუძუხი. გაფართოვდა და დამშვენდა საქართველოს სამხედრო გზის ეს მონაკვეთი. გაშენდა დაბა ჟინვალი და აქ ისეთი დიდი და კოხტა კულტურის სასახლე წამოიჭიმა, ჩვენი ქვეყნის სახელოვან თეატრებს რომ გამოადგებათ საგასტროლოდ. აიგო საავადმყოფოები, სამშობიაროები, საბავშვო ბაღები...

ამ წლის ბოლოს, როცა ჟინვალის ჰიდროკვანძი დასრულდება, ანუ როცა ჰესს გაუშვებენ, როცა არხები, გვირაბები და მილსადენები არაგვის წყალს თბილისის ზღვამდე მიაცილებენ, მას აქ ახალი ნაგებობა დახვდება. ნაგებობას გამწმენდ-გამანაწილებელი სადგური ჰქვია. თუ აქ მოხვდეთ, 54-ე სკოლის IV კლასის მოსწავლე მამუკა თავდიშვილი იკითხეთ. ის გაგიწევთ მეგზურობას. გამწმენდ-გამანაწილებელი სადგური და მისი სკოლა ერთმანეთისაგან ძალიან შორიშორს მდებარეობენ, მაგრამ რაკი მამუკას მამა აქ მსახურობს, ხოლო მამუკა ძალიან ინტერესიანი და დიდი ჩხირკედელა ბიჭია, ის ხშირად არის აქ და აკვირდება ამ ჭკვიანი მანქანებისა და მოწყობილობების მუშაობას. ეს მანქანები თავისით, ადამიანის ხელის დაუხმარებლად აცალცალკევებს და დანიშნულებისამებრ აგზავნის სასმელ თუ სამეურნეო წყალს. შინ ონკანს რომ მოუშვებ, სასმელ წყალს ჩამოახჩრიალებს, ხოლო სამეურნეო — აბრეშუმის და მაუდის ქარხანაში შეღებილ თუ დაჩითულ ქსოვილს გარეცხავს, რუსთავის ქიმიურ და მეტალურგიულ ქარხნებს მოემსახურება, ქალაქებში ქუჩებს დააწკრიალებს, აგარაკებზე ბაღებს მორწყავს, სოფლებში — ვენახებს, და კიდევ სხვა ათასგვარ მოვალეობას შეასრულებს პირნათლად.

ყოველივე ამისათვის კი საჭიროა ჟინვალჰესის მშენებლებმა იმ საგანგებო დეპეშით მიღებული დავალება სასწრაფოდ და ხარისხიანად შეასრულონ.

ჩვენც ვუსურვოთ ჟინვალჰესელებს გამარჯვება ამ დიდ სამამულიშვილო საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ ჭაბალუა

# ჯეცლომა

მხატვარი
თენგიზ სამსონაძე

მოთხრობა

## 1

ის წყეული ამბავი ზაფხულის არდადეგებზე გადამხდა. ის რომ არა, ჩემი თავგადასავლის მოსმენით ალბათ არასოდეს შეგაწუხებდით. მას მერე რამდენი ხანი გავიდა, მაგრამ ახლაც, ის შემთხვევა რომ მახსენდება, ლამის ტვინში სისხლი ჩამექცეს.

... კვირა დღე იყო. მამაჩემი, დედა და თამარი, ჩემი უმცროსი და, მამიდაჩემთან სტუმრად წავიდნენ. შინ მარტო ვიყავი და დიდი ბედიძის ახალ რომანს ვკითხულობდი. ორი დღის წინათ, ვარჯიშიდან რომ ვბრუნდებოდი, მაშინ ვიყიდე ეს წიგნი. ისეთი სათაური ჰქონდა, ვიფიქრე, დიდებული რამ იქნება-მეთქი. მაგრამ მოვტყუვდი. მართალია, დიდი განათლებით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ, თუ ტრაბახში არ ჩამომართმევთ, ჩემი ასაკისათვის ბევრს ვკითხულობ. კარგთან ერთად ცუდი წიგნებიც შემხვედრია, მაგრამ ამისთანა თავის დღეში არაფერი წამიკითხავს. სხვა ალბათ მაშინვე გადააგდებდა, მაგრამ მე რატომღაც უკანასკნელი წინადადება რომ ჩავიკითხე, მხოლოდ მაშინ მოვისროლე საწოლზე.

ფანჯარასთან მივედი. ისევ წვიმდა. აგერ კვირაზე მეტი იყო, უსახო, ტუტისფერი, ჩამოქამული ცა ერთთავად იცრემლებოდა, მსხვილი წვეთები ტყაპატყუპით ასკდებოდა ფანჯრების მინებს და სვენებ-სვენებით, ზიგზაგებით ჩარბოდა დაბლა. დილიდანვე ლოგინიდან ამყვა უცნაური გრძნობა. მეჩვენებოდა, თითქოს ამ თავსხმაში გარეთ ვიდექი; სხეულზე ცივი წვეთების შეხებასაც კი ვგრძნობდი. ღმერთმანი. ალბათ ამიტომ, ტანზე ხორკლები მეყარა და ველარ გავთბი. არადა, პოლარელივით მეცვა: მაღალყელიანი მსხვილადნაქსოვი შალის სვიტერი, თბილი სპორტული შარვალი და შალის გეტრები. ამ უქმური განწყობის გამო ვარჯიშიც გავაცდინე. წელიწადი იყო, ცურვაზე დავდიოდი. ადრე ტანვარჯიშის სექციაში ვიყავი და, ჩემს მწვრთნელს თუ დავუჯერებოდა, კარგი მომავალი მელოდა სპორტის ამ სახეობაში. მოზარდებში ქალაქის ჩემპიონიც ვიყავი. ტანვარჯიში მივატოვე სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად. ერთ დღეს ფიზკულტურის მასწავლებელმა ნორმატივების ჩასაბარებლად წაგვიყვანა „დინამოს“ სტადიონზე. ქალაქის ყველა სკოლის წარმომადგენლებს მოეყარათ თავი. დაიწყო შეჯიბრებები. საქმე ცურვაზე მიდგა, და აღმოჩნდა, რომ ჩვენს სკოლას ამ სახეობაში სპორტსმენი არ ჰყავდა. ნული რომ არ ჩაეწერაი, მასწავლებელმა გვთხოვა, ვინმემ ხელის გაქნევა თუ იცით, შეჯიბრებაზე გადითო. ცურვა და თხილამურებზე სიარული მამამ მასწავლა. მამა ყოფილი სპორტსმენია. ტანვარჯიშში საბჭოთა



კავშირის ორგზის ჩემპიონი იყო. ერთი სიტყვით, ჩვენი სკოლიდან მსურველი რომ არავინ გამოჩნდა, შეჯიბრებაზე გავედი. სიმართლე გითხრათ, ჩვენების უფრო მრცხვენოდა, ვიდრე ამ მილეთის ხალხისა.

— ლევ, — სათვალის ჩარჩოს შუაში თითი იტაკა აკადემიკოსმა, — მშობლიური სკოლა შენს იმედზეა!

— ლევ, ყოჩაღად, ჩვენ აქა ვართ! — მსუბუქად მიბიძგა ბიზიმ. — თუ გაჭირდა, ამ აუზს ყლუპს ვუზამთ!

„აბა, შენ იციო...“ — თვალი ჩამიკრა არქიტექტორმა.

— მთავარია შემართება, ლევ! — საჩვენებელი თითი მაღლა შემართა დიპლომატმა და გაიღიმა.

ამ დროს სტარტზე გამოგვიძახეს. ვგრძნობდი, ჩვენები ჩემზე ნაკლებად არ განიცდიდნენ, და უფრო ვღელავდი. ჩვენს სკოლას მეშვიდე ტუმბი ერგო. ტუმბზე ავხტი და სტარტზე ჩამწკრივებულ ბიჭებს რომ გადავხედე, შევნიშნე, მეოთხეზე მდგარ ქერათმიან ბიჭს მუხლები უკანკალებდა. რატომღაც ერთბაშად დავმშვიდდი.

— ყურადღება, მოემზადეთ... — და გაისმა გასროლა.

იმ დღეს ბედმა გამიღიმა. ბიჭები, რომლებთანაც შეჯიბრებაზე გავედი, ჩემზე სუსტები აღმოჩნდნენ. აუზიდან რომ ამოვდიოდი, ჩემს გულშემატკივრებთან ერთად ვიღაც მაღალი, მხარბეჭიანი, სპორტულად გამოწყობილი ახალგაზრდა მოვიდა და ხმამაღლა მკითხა:

— ბიჭიკო, ცურვის სექციაში არ გინდა იარო?

ვიდრე რამეს ვიტყოდი, ბიბიმ ისე მიპწკინა მკლავზე, სულშეგუბებულმა ძლივს ამოვილუღლუღე, კი-მეთქი, და ბიბის მძვინვარედ შევხედე. მან მშვიდად გამიღიმა და მოწონების ნიშნად თავი დამიქნია.

— მაშინ ხვალ ოთხ საათზე აქ იყავი! — თქვა ახალგაზრდამ და წავიდა.

— მომილოცავს, ლევ! — ბეჭზე წამიტყაპუნა ბიბიმ. — იცი, ვინ არის?

— ვინ არის? — წინ გამოძვრა კუსა.

— გივი ვაჩაძეა! — ამაყად თქვა ბიბიმ, — ჩვენი მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელი, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი...

...ვიცოდი, დღევანდელი გაცდენისათვის კარგად მომხვდებოდა ჩემი მწვრთნელისაგან, მაგრამ, რატომღაც ვარჯიშს სიკვდილი მერჩია.

ერთი სიტყვით, ფანჯარასთან ვიდექი და გარეთ ვიყურებოდი. უცებ, ზარი ახმაურდა. კი მეზარებოდა კარამდე მისვლა, მაგრამ რა უნდა მექნა. კარი გავაღე. ჯიბეებში იდაყვებამდე ხელებჩაჩრილი ნოდარი იდგა და მოწყალედ იღიმებოდა.

ნოდარი ჩვენს მეზობელ სადარბაზოში ცხოვრობს და პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს. მისი მშობლები კარგა ხანია გაყრილები არიან. მამამისს სხვა ოჯახი ჰყავს. ნოდარი დედასთან იზრდება. ჩემზე ორი წლით უფროსია.

— თქვენები შინ არიან? — მკითხა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, მშვენივრად იცოდა, მარტო რომ ვიყავი.

— არა.

— oო! — წაიზმუილა და შემოალაჯა.

კარი მივკეტე და ჩემი ოთახისკენ გავემართე.

— რას აკეთებ? — შევედით თუ არა, განგებ დაბოხებული ხმით მკითხა. საერთოდ, უცნაური წვრილი ხმა აქვს. მიკვირს — რატომ, როცა სიმაღლით ორ მეტრამდეა და წონითაც, თუ მეტი არა, ექვსი ფუთი იქნება.

—დაჯექი! — სკამი შევთავაზე. მე კი ფანჯარასთან მივედი და რაფას ზურგით მივეყრდენი.

სკამისკენ არც გაუხედავს. ჩემკენ წამოვიდა და გვერდით ამომიდგა.



ჟურნალ „პიონერის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მოთხრობას „შეცდომა“ მესამე პრემია მიენიჭა.

— რას აკეთებდი, ტო?

— არაფერს, წვიმას ვუყურებდი.

— ტიპი ხარ! წვიმას რა ჩითვა უნდა, ტო! — თქვა და უცებ წიგნს დაადგა თვალი. — ეს რა წიგნია? — ისე მივარდა, თითქოს წიგნებზე სული მისდიოდა. აიღო, დახედა, გადაფურცლ-გადმოფურცლა. — რა წიგნია?

— ვერა ხედავ? ბერმან ტიიტის რომანია — „მფრინავი ვირთხები“.

— რაო, რაო, რა რომანია?! — ამ დროს სატიტულო ყდას დასცქეროდა.

— „მფრინავი ვირთხები“. არ წაგიკითხავს?! ამ წიგნმა ლამის ქვეყანა გადარია.

— აა, როგორ არა, ვიცი.

ასეთი კაცი გახლავთ. გგონიათ, იხტიბარს რამეზე გაიტეხს? თქვენც არ მომიკვდეთ, რომ ჰკითხოთ, ალექსანდრე მაკედონელს თუ იცნობო, თვალდაუხამხამებლად გიპასუხებთ: როგორ არა, ამ წუთში კიბეზე შემხვდა და ხელიც ჩამოვართვიო.

წიგნი მიაგდო, ტუჩები მოპრუწა და სტვენას მოჰყვა, თან აქეთ-იქით ისე აცეცებდა თვალებს, იფიქრებდი, რაღაც დაუკარგავს და ეძებსო. ანაზდად ჩემს მაგიდაზე მაგნიტოფონს მოჰკრა თვალი და მივარდა.

— ვაა, ეს კი ხურავს! — თქვა და ჩართო. — სად მოიჩალიჩე, ტო?

— მამაჩემმა ჩამომიტანა მოსკოვიდან.

— რამდენად?

— სამასად.

— გლიჯავს, ტო. ამისთანებს აქ ათას მანეთად აჩალიჩებენ. მაშ! ხუმრობა ხომ არაა, ტო, იაპონური ფირმისაა! — თქვა და ჩელენტანოს კასეტა დადო. თვითონ გარდერობთან მივიდა და სარკეში საკუთარ სახეს გულმოდგინედ დაუწყო თვალიერება. მე მაგნიტოფონი გამოვრთე და ერთბაშად ჩამოვარდნილ სიჩუმეში, სარკიდან მოშტერებულმა ნოდარმა გაკვირვებით მკითხა:

— რატომ გამორთე?!

— თავი მტკივა, — ცივად ვუთხარი. ისევ ფანჯარასთან მივედი და რაფაზე შევსკუპდი. — როგორ მიდის შენი საქმეები? — ვკითხე.

— ჩემ ოსტატთან გლეჯვის კარტები ჩავაწყე, რომ დავამთავრებ, მანქანების პროფილაქტიკაში უნდა მომაყუჩოს, მაშ!

— ასეთი რამეები შეუძლია?

— რაებს ბაზრობ, ტო. მე რომ ვიცი, ისე ხუთი კაცი ჰყავს მანდ მოყუჩებული.

— ყოჩაღ, მაგრად მოგითაფლავს.

— მე რა, ტო, დაურეკეს, მაშ!

— ამდენად გიღირდა?!

— ჰმ, რას ნიშნავს, რომ ქაჯი ხარ, ტო! მანდ იმდენი მაყუთია, წელიწადში „06“-ს დავირტყამ, მაშ!

— თუ ასეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მართლაც კარგი საქმე ჩაგიწყვია. — ვუთხარი და უფრო დაკვირვებით შევხედე. უცებ საოცრად მომინდა მეთქვა, რასაც მასზე ვფიქრობდი.

— მე შენი ამბავი მაკვირვებს, ნოდარ. რატომ თეატრალურზე არ შეხვედი. საცოდაობა არ არის, შენი ნიჭის პატრონი ზეინკლობისთვის გაცდეს? შენგან ხომ დიდებული მსახიობი დადგებოდა. ისეთი მოდური სიტყვა-პასუხი, ჩაცმულობა, ვარცხნილობა გაქვს, თბილისელს კი არა, პარიზელსაც შეშურდება. მართალია, ტვინის მაგიერ ხაჭო გიდევს თავში, მაგრამ უმაგისოდ იოლას გახვიდოდი, რადგან სულელების როლის ნატურალური შემსრულებელი იქნებოდი!

— კარგი, ტო, რა გააჭირე. იცი, რაზე მოვედი? სამ საათზე პაე მაქვს და, ორი მანეთი თუ არ მომეცი, ვიბრიდები, ტო. ერთ კვირაში ძველსა და ახალ ვალს ერთად დაგიბრუნებ, ჩემს დედას გეფიცები, თან ძალიან მეჩქარება!

რაფიდან ჩამოვხტი, გარდერობში პიჯაკის ჯიბიდან სამმანეთიანი ამოვიღე და მაგიდაზე დავუდე. მანეთიანები არ მქონდა, თორემ სამ მანეთს რას მივცემდი. ვიცოდი, ადრე მიცემული ცხრა მანეთივით ესეც არასოდეს დამიბრუნდებოდა.

ნოდარს სახე გაუბადრა, ფულს ხელი დასტაცა და კარისკენ ფეთიანივით გავარდა. მესმოდა, როგორ მიხტოდა კიბეზე. კარი მივკეტე და გამახსენდა, რომ ხვალ ქართულ ლიტერატურაში ბოლო საკონტროლო წერა გვქონდა. ფარაონმა, — ასე ვეძახით ავთანდილ მასწავლებელს, — გაგვაფრთხილა, იცოდეთ, ამ წერის მიხედვით დაგიწერთ ნიშნებსო. საქმე ის იყო, რომ თავისუფალ თემაზე უნდა დაგვეწერა, სავარაუდოდ კი არაფერი დაუსახელებია. ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ავიღე.

— გისმენთ!

— გამარჯობა, ლევ!

— რუთი?! — ისე შევყვირე, თითქოს შეუძლებელი რამ მომხდარიყოს. — საიდან მირეკავ? — ვგრძნობდი, სახეზე ალმური მედებოდა და გულიც რაღაც უჩვეულოდ მიცემდა.

— შინიდან. ემზადები ხვალისთვის?

— როგორ უნდა მოვემზადო! ეშმაკმა იცის, რა მოეპრიანება ფარაონს. შენ რას შვრები?

— „დონ კიხოტს“ ვკითხულობ. ლევ, რატომ ხარ ჩემზე ნაწყენი?

— ნაწყენი?! — წამოვიძახე. — რას მელაპარაკები, რუთი, რას ამბობ!

— რა ვიცი, აბა, რაც ექსკურსიიდან დავბრუნდით, მას მერე წესიერად ხმა არ გაგიცია. სულ იმის ფიქრში ვარ, რა ვაწყენინე-მეთქი.

— რას ამბობ, რუთი. ნაწყენი კი არა, მადლობელი ვარ შენი.

— რისთვის?!

უცებ ვერაფერი მოვიფიქრე, ენა დამება. მერე ვთქვი:

— ყველაფრისთვის. თუნდაც იმ დიდებული, განუმეორებელი საღამოსთვის, გალავანზე რომ გავატარეთ.

—ლევ, გინდა გალაკტიონის ერთი ლექსის ნაწყვეტი წაგიკითხო?

— დიდი სიამოვნებით მოგისმენ, — ვუპასუხე და უცებ ერთი აზრი დამებადა. — ოღონდ ერთი წუთით დამიცადე, რუთი. — ჩემი ოთახიდან მაგნიტოფონი გამოვიტანე და სავარძელში ჩავჯექი. მაგნიტოფონი მუხლებზე დავიდე და ხმის ჩამწერი ჩავრთე. მერე ყურმილი ავიღე და ჩავძახე:

— ჰო, რუთი, გისმენ! — ყურმილი მაგნიტოფონს მივადე.

...მე მესიზმრება, რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა,
სადღაც ოდესღაც ზმანებული, ერთხელ ნახული.
მე მესიზმრება ანგელოზთა ციური ნანა,
ღამის დუმილში ჩაქსოვილი და ჩამარხული.
ტკბილი ოცნება გამიტაცებს, ვით სიზმარ-ცხადი,
მკრთალი სინათლით სევდის ნისლი მიდის და
ჰქრება...
და რაღაც წმინდა, შორეული უცხო ქვეყანა
მე მესიზმრება...

რუთი გაჩუმდა. ყურმილი ავიღე. თითქოს მისი სუნთქვაც კი მესმოდა.

— მოგეწონა?

— ბრწყინვალეა! — აღტაცებულმა წამოვიძახე. მართლაც ძალიან მომეწონა. — ლექსი ხომ არის და არის, მაგრამ შენც დიდებულად კითხულობ, რუთი. და, საერთოდ, იცი, როგორი გოგო ხარ?

— მაინც, როგორი? — მკითხა. ამ დროს, ალბათ, ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

— ანგელოზი, ზღაპარი!

— ხვალამდის, ლევ!

— ნახვამდის, რუთი! — ვთქვი და მეც დავდე ყურმილი. მერე ფირი უკან დავატრიალე, ხმას ავუწიე და სვლაზე ჩავრთე.

...მე მესიზმრება რაღაც წმინდა, შორი ქვეყანა... — მთელი არსებით კითხულობდა რუთი. რატომღაც სევდა შემომაწვა გულზე. მაგნიტოფონი გამოვრთე და ფანჯარასთან მივედი.

ეს ამ გაზაფხულზე იყო:

ჩვენი კლასი ორდღიან ექსკურსიაზე წაგვიყვანეს. პირველ დღეს მონასტერთან უახლოეს სოფელში ჩავედით და ტურბაზაში დავბინავდით. აქედან ტაძრამდე საკმაოდ შორი გზა რჩებოდა, ისიც მთაში, და ფეხით უნდა გვევლო. იმ დღეს ასვლა-ჩამოსვლას ველარ ვასწრებდით, ხოლო, იქ, მონასტერში, ჯერ ძალიან ცივაო, გვითხრეს. ამიტომ მასწავლებლებმა გადაწყვიტეს ლამე აქ გაგვეთენებინა. დღის სამი საათი იყო, უამრავი დრო გვქონდა და სოფლის ბოლოს, მაღლობზე გადმომდგარი ძველი ეკლესიის ნანგრევების დასათვალიერებლად წავედით. ურდოებივით ყიჟინით მოვედით იქაურობას, ისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მივირბინ-მოვირბინეთ, თითქოს თითოეული წამი მეტად ძვირფასი ყოფილიყოს ყველა ჩვენგანისათვის. მერე, მორღვეულ გალავანს შიგნით ბურთაობა გავაჩაღეთ. ძეგლზე, რატომღაც, სიტყვა არავის დაცდენია. არც ჩვენ მოვუკლავართ ცნობისმოყვარეობას. არადა, ეტყობოდა, თავის დროზე დიდებული ძეგლი იქნებოდა.

ბურთაობით გული რომ ვიჯერეთ და მოგვშივდა, დაბლა დავეშვით, ტურბაზაში პურ-მარილი გავშალეთ. იმდენი ხორაგი გვქონდა წამოღებული, ერთი კვირა არმიას გამოკვებავდა. სუფრასთან ცოტახანი ვიჯექი, მერე ჩუმად გამოვედი გარეთ და უცებ საოცარი შვება ვიგრძენი. „რა კარგი ფერი აქვს ცას!“ — გავიფიქრე და თვალები ლურჯად მოლივლივე უსაზღვროებას გავუშტერე. ხელები მაღლა აღვმართე, სუფთა, კამკამა ჰაერი ფილტვების დაბერვამდე ჩავისუნთქე და ბეჭები თავისუფლად გავშალე. მყისვე რაღაცნაირად ვიგრძენი საკუთარი ძალა, მიწის სიმკვრივე, რომელზედაც ვიდექი. საოცრად მომინდა სოფლის ეკლესიის ნანგრევების ნახვა. მაშინვე თავი ავაღირე და წავედი. მზე დასავლეთით იყო გადახრილი, მაგრამ მაინც საკმაოდ ცხელოდა. ჯინსის ხალათი მხარზე მოვიგდე და ნელა გავუყევი გზას. დიდი თუ პატარა ბაღებში მუშაობდა. სოფელი შეუმჩნევლად გავლიე და აღმართს ავუყევი. შუა აღმართზე ავედი, რომ უცებ ჩემი სახელი მომესმა. მოვიხედე და შევჩერდი. აღმართზე რუთი ამორბოდა და დამიცადეო, ხელს მიქნევდა. იცით, რუთი რა გოგოა! მთელ სკოლაში აფასებენ. ნოლ კლასიდან სულ ფრიადებზე სწავლობს. ერთ ზედმეტ სიტყვას მისგან ვერ გაიგონებ. განა არ გაგეხუმრება, მაგრამ საოცარი ზომიერების გრძნობა აქვს. ძალიანაც რომ გინდოდეს, რაღაც ზღვარს ვერ გადააბიჯებ. ერთ რამედ ღირს მისი მოსმენა, როცა გაკვეთილს ყვება. წიგნი უყვარს და ვიცი, რომ ბევრს კითხულობს, ხშირად ვხვდები ბიბლიოთეკაში.

შესახედავადაც ხომ კარგზე კარგია: ოდნავ მოგრძო, თხელი სახე, პატარა, სწორი ცხვირი და ფათქუნა წამწამებს შეფარებული დიდრონი, მეოცნებე ცისფერი თვალები... ქარვისფერი თმა მომრგვალებულ მხრებს უფარავს. ერთი სიტყვით, ისეთი გოგოა, მასთან მეგობრობა უსათუოდ მოგინდებათ, მაგრამ ახლა მისი გამოჩენა არ გამხარებია. რატომღაც მარტო ყოფნა მინდოდა. აღმართზე ისე თავდავიწყებით ამორბოდა, შემეცოდა და დავუძახე, ნუ ჩქარობ, ნელა იარე-მეთქი. გზა ამოათავა და ჩემს წინ ორ ნაბიჯზე შეჩერდა. შავ ველვეტის შარვალში ჩატანებული წითელი ბლუზი ეცვა და მისი ანარეკლი შეფაკლულ სახეს უფრო უვარდისფერებდა. მარცხენა ხელი გულზე მიიდო. ეტყობოდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. წამით ასე იყო, მერე ჩამოშლილი თმა ხელით მხრებზე გადაიყარა და მისაყვედურა:

— აქეთ თუ მოდიოდი, რატომ არ მითხარი?!

მხრები ავიჩეჩე. სიმართლე გითხრათ, აზრად არ მომსვლია ვინმესთვის მეთქვა, ხომ არ წამოხვალ-მეთქი.

— არ მეგონა, თუ ისევ მოგინდებოდა წამოსვლა, — წამიერი დუმილის მერე ვუთხარი.

— წავიდეთ! — ხმადაბლა მითხრა და ხელმკლავი გამიკეთა.

ერთბაშად შევიბოჭე. აღმართს უსიტყვოდ ავუყევით. ისედაც ვერაფერი მოსაუბრე ვარ და მაშინ მთლად წამერთვა ენა. ვიცოდი, ასე ბაიყუშივით სიარული უხერხუ-

ლი იყო, მაგრამ სალაპარაკო ვერაფერი მოვიგონე. ის კი არა, თითქოს გონება გადამერეცხაო, თავში აზრის ნასახი არ მომდიოდა. მსგავსი რამ ჩემს დღეში არაფერი გამიცდია. თან ის ოხერი აღმართიც უსაშველოდ გაგრძელდა. ვიფიქრე, არასოდეს დამთავრდება-მეთქი.

ასე მივდიოდით მდუმარენი ეკლესიის ნანგრევებისკენ. დრო-ჟამისგან ჩამოქცეულ-ჩამოღლეტილ კედლებში ისე შევედით, როგორც მორწმუნენი ტაძარში: მოწიწებით, უსიტყვოდ, ფეხაკრეფით.

„ვინ იცის, ამის ამშენებელს რამდენი შრომა, რამდენი წვალება დასჭირდა, რომ ოდესღაც დიდებული ეს ძეგლი შეექმნა. ჩვენ მისი სახელიც კი არ ვიცით დღეს...“ — გავიფიქრე, თქმით კი ვთქვი:

— ნეტავ როდინდელი აშენებულია?

— მეათე საუკუნის ბოლოს აუშენებია ქართლის ერისთავს, — თითქოს ჩემს კითხვას ელოდაო, მაშინვე მიპასუხა რუთიმ. — კარიბჭის გათხრების დროს წარწერა უპოვნიათ, ამ წარწერის თანახმად ოცი წელი აშენებდნენ თურმე. ტაძარს სოფლის სახელი ერქვა და ადრეული ტიპის ბაზილიკას წარმოადგენდა. ეკლესიას გარს ერტყა მაღალი და განიერი გალავანი, რომელიც მთელ ხეობას იცავდა. იგი მიწასთან გაუსწორებია თემურლენგს თავისი მესამე ლაშქრობისას.

— საიდან იცი ეს?! — ვკითხე გაოცებულმა.

—წამოსვლა რომ გადავწყვიტეთ, დამაინტერესა...

მე კი მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია.

ეკლესიას გარს შემოვუარეთ და დასავლეთის მხრიდან გალავანზე ავედით. ხეობაში ჩაყურსული სოფელი ხელისგულივით ჩანდა. გვერდი-გვერდ ჩამოვჯექით და ფეხები გალავანზე გადავკიდეთ.

— ლევ, მთებს გახედე, რა ფერი აქვს! — მითხრა აღტაცებულმა. — „გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის“... სულ მე ვლაპარაკობ, ახლა შენ თქვი რამე...

— რა ვთქვა... — მხრების აჩეჩვით ვთქვი. არაფერი მქონდა სათქმელი. ღამდებოდა. გრილმა სიომ წამოუქროლა. ჩემი ხალათი ფრთხილად მოვახურე მხრებზე.

— მადლობელი ვარ, ლევ! — რბილად, საოცარი სინაზით მითხრა და ხალათში გაეხვია. — გადაწყვიტე, რა სპეციალობაზე ისწავლი?

— ჯერ არა. ხან ქირურგი მინდა ვიყო, ხან მფრინავი, ხანაც ბიოლოგი. ერთი სიტყვით, აზრზე არა ვარ, საით წავალ. შენ?

— ფერწერის ფაკულტეტზე მინდა ვისწავლო. ვნახოთ, რა გამოვა.

მერე ჩუმად ვისხედით. რატომღაც ასე ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. ვგრძნობდი, რაღაც ხდებოდა ჩემში: გაურკვეველი, დამაფიქრებელი, თვალმიუდევნებელი. შეუმჩნევლად ჩამობნელდა და ვარსკვლავები აკიაფდნენ ცაზე.

— ლევ, რომელი საათია?

— ცხრა სრულდება, წავიდეთ! — ვთქვი და ხელზე ჩავკიდე ხელი...

... ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამომიყვანა. აპარატთან მივედი და ყურმილი ავიღე:

— გისმენთ!

— თამრიკოს სთხოვეთ, — გაისმა პატარა ბიჭის წკრიალა ხმა.

— გია, შენა ხარ?

— დიახ.

— თამრიკო საღამოს ცხრა საათისთვის იქნება, გია.

— გმადლობთ.

— კარგად იყავი, გია! — ღიმილით ვუთხარი და ყურმილი დავდე. ეს ბიჭი თამრიკოს კლასელია და ხშირად ურეკავს ხოლმე.

## 2

კლასი დაძაბულად მოელოდა ფარაონის შემოსვლას და ცდილობდა გამოეცნო, საკლასო სამუშაოდ რას დაგვავალებდა. ზარის ხმას ფარაონი შემოჰყვა, რუთის რვეულები გადასცა და დაარიგეო, უთხრა, ხოლო თვითონ დაფასთან მიდგა, ცარცი აიღო და დაწერა: „ჩემი ავტოპორტრეტი“.

— ააუუ! — აღმოხდა კლასს. ამას ნაღდად არავინ მოელოდა.

ფარაონმა ცარცი დაფაზე ჩამოდო, ცხვირსახოცზე ხელი შეიწმინდა და ღიმილით წამოვიდა ჩვენკენ. საოცარი კაცია ავთანდილ მასწავლებელი, რომელსაც მთელი სკოლა, რაც თავი მახსოვს, ფარაონს უძახის. მე არ შემხვედრია ისეთი მოსწავლე, რომ ავთანდილ მასწავლებლის რიდი არ ჰქონდეს. დირექტორზე უფრო მისი გვერიდება და ყველაზე მეტად ის გვიყვარს.

— რატომ გაიკვირვეთ? — იკითხა ფარაონმა. — დაფიქრდით და დახატეთ თქვენი თავი: ვინ ხართ, რას წარმოადგენთ, რას ფიქრობთ და ასე შემდეგ, აბა, დავიწყოთ, დროს ნუ ვკარგავთ!

რვეული გადავშალე და დავფიქრდი. სიმართლე გითხრათ, მეძნელა. სულაც არ არის ადვილი ჯიბეებივით ამოაბრუნო შენი თავი და ყველას ანახო, რაცა ხარ.

მეზობლად ნიკა ფავლენიშვილი, ჩვენი აკადემიკოსი მიზის. მისკენ გავაპარე თვალი. აკადემიკოსი აწყვეტილივით მიერეკება. ეტყობა, ძალიან ნაცნობია მისთვის საკუთარი სახე. ნიკა ფიზიკის მომავალი ვარსკვლავი ბრძანდება. მას აქვს ცხოვრებაში მიზანი — გამოკვეთილი, ნათელი, და მშობლიური ნავსადგურისკენ მიმავალი ხომალდივით მტკიცედ მიემართება მისკენ. ოღონდ ეგაა, საოცრად დაბნეულია: შეუძლია საკუთარი ჩანთის მაგივრად შენი წაიღოს; როცა რომელიმე მეგობარს ურეკავს, მისი ტელეფონის ნომრის მაგივრად საკუთარი ნომერი აკრიფოს; ქუდი კლასში დატოვოს და ასე შემდეგ. ნიკას ძალიან ეამაყება, რომ მისი პაპის პაპა, თუ კიდევ უფრო იქითური, დავით გურამიშვილთან ერთად ვახტანგ მეექვსის ამალაში ყოფილა და ქართველ კოლონისტებს შორის დიდ როლს თამაშობდაო. არ ვიცი, რამდენად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო ეს მისი შორეული წინაპარი, მაგრამ ჩვენი ფიზიკოსის ბრწყინვალე მომავალში ეჭვი არავის გვეპარება.

„... ყოველ დილით ადრე ვდგები, ვვარჯიშობ, გაკვეთილებს გადავიმეორებ და მერე ფეხით მივდივარ სკოლაში. საერთოდ ძალიან მიყვარს ფეხით სიარული... მშობლებსაც ვეხმარები საოჯახო საქმეებში. ვოცნებობ ფიზიკოსობაზე. ფიზიკა სამყაროს საიდუმლოებაში მიმავალი გზაა. სპორტიდან ალპინიზმს და ჭადრაკს ვაღმერთებ..." — წერს აკადემიკოსი.

კისერი წავიგრძელე და ახლა ჩემს წინა მერხზე ნინო დარახველიძის რვეულში ჩავიჭყიტე. ისეთნაირად იჯდა, ბევრი ვერაფერი ამოვიკითხე. ჩანდა, მონდომებით ქმნიდა თავის ავტოპორტრეტს. ამ გოგონას აშკარად არ გაუმართლა. კლასში ყველაზე შეუხედავია. ისე კი, დიდებული გოგოა. ჩუმი, უწყინარი, მეგობრების მოყვარული. ჩემი აზრით, მისთვის ყველაზე დიდი სიამოვნება სხვისთვის დახმარებაა. კლასში აჩრდილივით შემოიპარება, ხმადაბლა მოგვესალმება და ისე ფრთხილად ჩამოჯდება მერხზე, თითქოს მძინარე ავადმყოფის სასთუმალთან დაჯდა და ეშინია, არ გაალვიძოსო. აგერ ათი წელია ერთად ვსწავლობთ და არ მახსოვს, ოთხიანი კი არა, საეჭვო ხუთიანი მიეღოს. ნინო ყველას გვიყვარს.

სხვებსაც გადავხედე. არა მგონია, რომელიმე სკოლის ერთ კლასში იყოს მომავალი ინტელიგენციის იმდენი წარმომადგენელი, რამდენიც ჩვენს კლასშია. თუ ჩვენი ოცნებები ახდა, მაშინ ფიზიკოსების, გამომძიებლების, ექიმების, არქიტექტორების, ქიმიკოსების რიგებს კარგი შევსება ელის. აი, ჩემს მარცხნივ რომ ზის, გივი ბიბილეიშვილი — ბიბი, ახლა ასე თავგადადებული რომ ქმნის თავის სახეს, მომავალი შერლოკ ჰოლმსი თუ არა, კომისარი მეგრე მაინც იქნება. დღედაღამ ბანდიტებთან ბრძოლა ელანდება. მის გვერდით რომ ზის მაღალი, ცისფერთვალება, ქერა ბიჭი, გურამ ბოკერიაა — ბლერო. იგი მომავალი დიპლომატია. ინგლისურად და ფრანგულად უკვე თავისუფლად ლაპარაკობს. ჩემგან მარჯვნივ ჯუმბერ ნარეშელაშვილი — ჯუბი და ზურაბ ჩიგოგიძე — ჩიგო სხედან. ჯუბი მთელ სკოლაში ყველაზე ლონიერი ბიჭია. ჭიდაობაში პირველი თანრიგი აქვს. ისე, არქიტექტორობაზე კარგავს ჭკუას. მისი სანუკვარი ოცნებაა, ყველაზე ლამაზი შენობით დაამშვენოს თბილისი. მას თავისი ღმერთები ჰყავს: არსაკიძე, მის ვან დერ როე, კორბუზიე და რაიტი. ჯუბი ისეთი ბიჭია, რომ დაგჭირდეს, შენთვის სულს არ დაიშურებს, რასაც ფიქრობს, უეჭველად იმას გეტყვის: შეულამაზებლად, მიუკიბ-მოუკიბავად, ჯიქურ. მისი ეს თვისება მომწონს, თუმცა მე თვითონ ასე ვერ ვიქცევი, გამბედაობა არ მყოფნის. სხვები კი ამტკიცებენ, აღზრდა სწორედ იმიტომ გვეძლევა, რომ ჩვენი ნამდვილი გრძნობები დავფაროთო...

ჩიგო ისე მონდომებით ხატავს თავის ავტოპორტრეტს — შეგშურდება. თხელი, მოქნილი ბიჭია. სკოლაში ცნობილი კარატისტია. ჭკუით ნამდვილი ტექნოკრატია. ფორმულებზე და ქიმიაზეა შეყვარებული, მასაც თავისი გზა უკვე გარკვეული აქვს. არაორგანულ ქიმიაში უეჭველად მოახდენს გადატრიალებას. იგი მაშინ უნდა ნახოთ, როცა კოლბებს და სინქრო-აზოტრონს უტრიალებს.

კუსას — ჯემალ თოიძეს გავხედე. იგი ახლავე შეიძლება ჩავთვალოთ ჟურნალისტთა ამქარში. მის პატარ-პატარა მოთხრობებს და წერილებს ხშირად ვკითხულობთ კედლის გაზეთში და „ნორჩ ლენინელში", მაგრამ ყველაზე დიდი პოპულარობა მაშინ მოიპოვა, როცა მისი წერილი „ახალგაზრდა კომუნისტში" დაიბეჭდა. იმ დღეს რაც ახკომის ნომერი გაიყიდა თბილისში, მგონი ყველა ჩვენ შევიძინეთ. მართალია, გამოქვეყნებულ წერილსა და მის დედანს შორის განსხვავება კარგად შესამჩნევი იყო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არავის მიგვიქცევია.

— რამდენს მოგცემენ ჰონორარს? — პირველი კითხვა გამომძიებელმა მისცა.

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ჟურნალისტმა.

— მაინც? — არ მოეშვა ბიბი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





# საქართველოს XII მსოფლიო

**რამაზ ლომინაძე,**
საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე.

„ჩვენ ვიბრძოლებთ ხალხთა შორის გულწრფელი, მტკიცე მეგობრობისათვის, ხანგრძლივი და სამართლიანი მშვიდობისათვის“, — ეს იმ დელეგატთა სიტყვებია, რომლებიც ესწრებოდნენ 1945 წლის შემოდგომაზე ლონდონში ჩატარებულ ახალგაზრდობის მსოფლიო კონფერენციას. სამოცზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელმა, 200 ახალგაზრდული ორგანიზაციის წარგზავნილმა განაცხადა თავისი მისწრაფების შესახებ — „იბრძოლოს მთელ მსოფლიოში ახალგაზრდობის ერთიანობისათვის, მიუხედავად მათი რასისა, კანის ფერისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა“... ასე იბადებოდა სხვადასხვა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანობა. ასე წარმოიშვა ახალი, საერთო დემოკრატიული ხასიათის საფესტივალო მოძრაობა.

და აი, ორმოცი წლის შემდეგ პლანეტის ახალგაზრდობა კვლავ იკრიბება. იკრიბება თავის მეთორმეტე ფესტივალზე, რომელიც ტარდება მოსკოვში, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავზე. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზგასმით წარმოაჩენს ფესტივალის მშვიდობიან მიმართულებას.

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი გარემოება განსაზღვრავს მოსკოვის ფესტივალის განსაკუთრებულ ხასიათს. იგი ტარდება იმ წელს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ახალგაზრდობის საერთაშორისო წლად გამოაცხადა, და რომლის დევიზია: „მონაწილეობა, განვითარება, მშვიდობა“.

ამ ახალგაზრდულ ფორუმს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდობის როლის გაძლიერების საქმეში, რაც ხელს შეუწყობს მშვიდობის შენარჩუნებას, ბირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილებას, ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის განმტკიცებას.

თავისი ორმოცწლიანი ისტორიის მანძილზე ფესტივალები გამოხატავდნენ ახალგაზრდობის პრობლემებს იმ უაღრესად მნიშვნელოვან აქტუალურ საკითხებთან კავშირში, რომლებიც აღელვებდნენ მთელ კაცობრიობას.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალები ჭაბუკებისა და ქალიშვილების მასობრივი საერთაშორისო შეხვედრის უბადლო მაგალითია; აქ გლობალური პოლიტიკური აქციები შერწყმულია კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ხასიათის ღონისძიებებთან. ასეთი მრავალფეროვნების გამო ფესტივალებმა აქტუალურ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩააბეს ახალგაზრდობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები.

თერთმეტჯერ შეიკრიბა ფესტივალებზე პლანეტის ახალგაზრდობა. მისი პირველი წარგზავნილები ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქმა პრაღამ მიიღო. 1947 წლის 25 ივლისს პრაღის სტადიონ „სტრაგოვზე“ გაისმა ა. ნოვიკოვისა და ლ. ოშანინის სიმღერა, რომელსაც დღეს ყველა იცნობს, როგორც დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს. ასე დაიწყო ფესტივალების ისტორია. პირველი ფესტივალი ჩატარდა დევიზით „ახალგაზრდობავ, შეკავშირდი მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის ბრძოლაში!“ შემდგომში ფესტივალის ლოზუნგები იცვლებოდა საერთაშორისო მდგომარეობის შესაბამისად. უკანასკნელი სამი ფესტივალის, მათ შორის მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალის ლოზუნგია „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის“. დროთა განმავლობაში იცვლებოდა ფესტივალის ემბლემაც, რომელმაც 1957 წლის მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის შემდეგ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისათვის ნაცნობი ფორმა მიიღო — გვირილა ხუთი სხვადასხვა ფერის ფურცლით, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ პლანეტის ხუთ კონტინენტს. უცვლელი რჩებოდა მთავარი — ახალგაზრდობის სწრაფვა ერთიანობის, სოლიდარობისა და შემჭიდროვებისაკენ ომის საშინელების თავიდან ასაცილებლად. ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალებს მუდამ ჰყავდა მტრები. ისინი ახლაც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ახალგაზრდული მოძრაობის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის შუღლი და მტრობა ჩამოაგდონ. ამ მიზნით ისინი იყენებენ ძირგამომთხრელ მეთოდებს, ფესტივალებს უპირისპირებენ ეროვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდობა ფესტივალზე

ნულ ან რეგიონალურ ახალგაზრდულ ფორუმებს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ე. წ. საერთაშორისო ახალგაზრდული კონფერენციის ჩატარება, რომლის ინიციატორად იამაიკის მთავრობა გამოვიდა. არც ერთი სოციალისტური ქვეყნის ახალგაზრდული კავშირები არ იყო მიწვეული იამაიკის კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ლოზუნგით: „ურყევი მშვიდობისათვის თავისუფლების პირობებში". თუ რას ნიშნავს „თავისუფლება ამერიკულად", ეს ყველასათვის ცნობილია. „ამერიკული თავისუფლების" მსხვერპლი შეიქნა ასობით პატრიოტი ჩილეში, გრენადაზე, სალვადორში, ნიკარაგუაში.

სავსებით გასაგებია რეაქციული წრეების აღშფოთება იმ ცნობით, რომ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალი მოსკოვში ჩატარდება. ისინი ყოველნაირად ცდილობენ ახალგაზრდობის ნაწილს მაინც გადაუღობონ გზა მოსკოვის ფესტივალისაკენ, ანტიკომუნისტური პრინციპების საფუძველზე შეაკოწიწონ „თავისუფალი სამყაროს" ახალგაზრდული კავშირები და დაუპირისპირონ ისინი საერთაშორისო დემოკრატიულ ახალგაზრდულ მოძრაობას.

მაგრამ რეაქციული ძალების ყველა ცდა, ხელი შეუშალონ ახალგაზრდების ნაწილს, არ გაუშვან ისინი მოსკოვის ფესტივალზე, უშედეგო იქნება. საფესტივალო მოძრაობის მთელი ისტორია იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მსოფლიოს ახალგაზრდობა მჭიდროდ არის შეკავშირებული და მისი რიგები ურღვევია.

მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალისათვის მზადებამ ახალი ბიძგი მისცა ახალგაზრდობის ანტიომარ გამოსვლებს, ხელი შეუწყო პროგრესულ ძალთა გაერთიანებას საერთაშორისო ახალგაზრდულ მოძრაობაში. ფესტივალის წარმატებით მომზადებას განაპირობებს საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე მსოფლიოს 85 ქვეყანაში შექმნილი ეროვნული მოსამზადებელი კომიტეტების აქტიური საქმიანობა. მოსამზადებელი პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო და რეგიონალური საფესტივალო-საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება.

ჩვენს ქვეყანაში ფესტივალისათვის მზადებას სათავეში ჩაუდგა საბჭოთა მოსამზადებელი კომიტეტი. ეს მზადება 42-მილიონიანი ლენინური კომკავშირის, საბჭოთა კავშირის ყველა ჭაბუკისა და ქალიშვილის ღვიძლ საქმედ იქცა. კომკავშირულ ორგანიზაციებში ფესტივალს ეძღვნება შრომითი ვახტები და ესტაფეტები, მეგობრობის საღამოები და სოლიდარობის მიტინგები, შაბათობები, რომლის დროს გამომუშავებული სახსრებიც ფესტივალის ფონდს გადაერიცხება.

ფესტივალისათვის მზადება ფართოდ გაიშალა ჩვენს რესპუბლიკაშიც. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის ჩატარებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მოსამზადებელი კომიტეტისა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ საქართველოს კომკავშირელებმა აიღეს გაზრდილი ვალდებულებანი, გამოვიდნენ ახალი ინიციატივებით. წარმოების 45 ათასმა ახალგაზრდა მუშაკმა, 1700-ზე მეტმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა კოლექტივმა იკისრა ვალდებულება ფესტივალის გახსნის დღისათვის ვადაზე ადრე შეასრულონ მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა. ხოლო დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ალექსანდრე სალინაშვილი ხელმძღვანელობს, გადაწყვიტა ყოველი თვის ერთი შაბათი აუნაზღაურებლად იმუშაოს და გამომუშავებული თანხა ფესტივალის ფონდს გადაურიცხოს. ამ თაოსნობას მხარი დაუჭირეს სხვა საწარმოო კოლექტივებმაც.

ფესტივალისათვის მზადებაში აქტიურად ჩაებნენ საქართველოს მსუბუქ, ადგილობრივ, კვების მრეწველობაში დასაქმებული მშრომელები. მათ იკისრეს მოხდენილი ახალგაზრდული ტანსაცმლის, ორიგინალური ნაწარმისა და სუვენირების გამოშვება, რომლებსაც ფესტივალის სიმბოლიკა დაამშვენებს. მომსახურების სფეროში მომუშავე კომკავშირელები იბრძვიან საპა-

ტიო უფლებისათვის — მოემსახურონ მოსკოვის საფესტივალო ობიექტებს.

ფესტივალისათვის მზადებაში თავისი წვლილი შეაქვს სოფლის ახალგაზრდობასაც. წელს 2000-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი კომკავშირული საგზურით იქნება დასაქმებული მეცხოველეობის დარგში, ხოლო ასზე მეტი მეცხოველეობის ფერმა კომკავშირულ-ახალგაზრდული გახდება. საქართველოს რაიონებში ახალგაზრდები ასიათასობით ციტრუსოვან კულტურებს, კაკლის ხეს და ვაზს გააშენებენ.

ფესტივალის პროგრამა მრავალფეროვანი და ნაირსახოვანია, მოიცავს მრავალრიცხოვან პოლიტიკურ, კულტურულ, სპორტულ ღონისძიებას, და ჩვენ ვემზადებით, რათა ყველა მათგანში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ.

ფესტივალზე გამოვა საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, ანსამბლები „ივერია“ და „მზიური“, „შარატინი“ აფხაზეთიდან, „ტბეთი“ აჭარიდან, „სიმდი“ სამხრეთ ოსეთიდან, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, ჰავანაში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის მონაწილე, ქორეოგრაფიული ანსამბლი „გორდა“, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის ჯაზ-კვარტეტი, ლენინური კომკავშირის პრემიისა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი თ. გვერდწითელი, მ. ჯაბუა, აგრეთვე სხვა პოპულარული კოლექტივები თუ შემსრულებლები.

ფესტივალს ახალი შემოქმედებითი გეგმებით ხვდებიან ახალგაზრდა კომპოზიტორები, მხატვრები, რეჟისორები. ისინი მონაწილეობენ საკავშირო კონკურსებში — „საუკეთესო სიმღერა მსოფლიო ფესტივალს“, იღებენ ფილმებს, დგამენ სპექტაკლებს, რომლებიც გამსჭვალულნი არიან ხალხთა შორის მეგობრობის, ძმობის სულისკვეთებით, ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისათვის ბრძოლის სურვილით, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების მისწრაფებით. მაგალითად, რეჟისორი ვახტანგ მიქელაძე, რომელიც შედის ინტერნაციონალური ჯგუფის შემადგენლობაში, იღებს სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს „გამარჯობა, ფესტივალო!“. რესპუბლიკის საშუალო და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა ნათლად გამოხატეს თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიცია თემების საკავშირო დათვალიერებისას, რომელიც ჩატარდა ლოზუნგით „ხმას ვაძლევ მშვიდობას!“.

ფესტივალის დღეებში მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში განლაგდება ხელოვნების საერთაშორისო პარკი. მისი მიზანია მრავალრიცხოვან დელეგატებს, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის სტუმრებს გააცნოს ხუთივე კონტინენტის ხალხთა ხელოვნების მიღწევები.

ჩვენი რესპუბლიკისათვის განკუთვნილ ცალკე კუთხეში თვალსაჩინო ადგილი დაეთმობა ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და საესტრადო ხელოვნების ნიმუშებს, სუვენირული ნაწარმის, ეროვნული კერძების გამოფენა-გაყიდვას. რესპუბლიკის ახალგაზრდობის მრავალფეროვან ცხოვრებაზე, შრომაში, სწავლაში, სამეცნიერო-ტექნიკურ შემოქმედებასა და სპორტში მათ წარმატებებზე ფესტივალის მონაწილეებს მოუთხრობს პავილიონი „საბჭოების ქვეყნის ახალგაზრდობა“, რომელიც გაიხსნება სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ფესტივალზე საქართველოს წარგზავნილებს სათავეში ჩაუდგება პოლიტიკური დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შევლენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების 400 სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას მოსკოვის მსოფლიო ფესტივალის გახსნასთან დაკავშირებით „ლუჟნიკებში“ მოწყობილ კომპოზიციაში „ბრძოლა განთავისუფლებისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ“.

ფესტივალის მონაწილეები საქართველოსაც ესტუმრებიან — შეხვდებიან რესპუბლიკის ახალგაზრდობას, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ მუშაკებს, ეწვევიან უმაღლეს სასწავლებლებს, საწარმოებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, მონაწილეობას მიიღებენ მიტინგებსა და მანიფესტაციებში და სხვა მასობრივ ღონისძიებებში.

ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკები და ქალიშვილები სტუმრებთან ერთად „მწვანე ავტოგრაფებს“ დატოვებენ თბილისის საბავშვო ქალაქ „მზიურში“, საქართველოს კომკავშირის საშეფო კაკლის ხეივნებში, საფუძველს ჩაუყრიან ახალგაზრდობის პარკებს სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში.

სულ მალე საბჭოთა ადამიანები ფართოდ გაუღებენ თავიანთი სახლების კარს ფესტივალის დელეგატებსა და სტუმრებს. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების დამყარებაში, პლანეტის იმ პროგრესული ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა — მშვიდობის შენარჩუნება და ომის საშიშროების თავიდან აცილება.

დოდო ვადაჭკორია

მხატვარი
აკაკი თევზაძე

# ყოჩივარდები



მოთხრობა

— რა არის, დედი ომი? — გელამ ხელი ჩამოადო მხარზე დედას.

კვამლი დატრიალდა კერაზე, ფიჩხი თითქოს აჩხრიალდაო, სწრაფად გამოვარდა ალი, ერთად მოედო შეშას. გარშემო შემომსხდარ ხუთ ბავშვს ძვალი და რბილი გაუთბა, თვალებში ცეცხლის ალი აუთამაშდათ.

— ჰა, დედი, რა არის? — თავისას გაიძახოდა გელა. ცეცხლის პირას მორზე ჩამომჯდარი გია წამოიწია, ქუდი მოიხადა, გადაწვდა და თავში უკუღმა ჩაამხარა ძმას.

— მოისვენე! ომი არა, ის!

— შენ ვინ გეკითხება! — გამოექომაგა უფროსი ძმა გელას და ცეცხლს ფიჩხი მიაყარა.

— ომი? რა ვიცი, შვილო, აბა, როგორ გითხრა. — ჩაფიქრდა ნინა. — უბედურებაა ომი. ჯოჯოხეთია...

— დედი, შეხე, ისევ თოვს! გავალთ რა, კარში? — შეევედრა უმცროსი ბიჭი დედას და სწორედ ამ დროს გარედან შემზარავი კივილი მოისმა. თოფის გასროლასავით გაიჯახუნა მეზობლის კარმა და ისევ იკივლა ვილაცამ. მერე ამას მოთქმაც დაერთო. ბავშვები ერთბაშად წამოიშალნენ და ფეხზე წამომდგარ, სმენადქცეულ დედას შემოეხვივნენ, კალთაზე მოეჭიდნენ. ნინამ მკლავები შემოხვია ყველას და ყური მიუგდო ტირილს, თავს ინუგეშებდა, იქნებ მომეჩვენაო, მაგრამ გარკვევით გაიგონა იმისი სახელი, ვისაც დასტიროდნენ.

კივილი და ზარი არ წყდებოდა. ვილაცამ კარში შემოიჭყიტა და ისევ გაბრუნდა. ძაღლი შემოიძურწა, გაწუწული ცეცხლს მიეფიცხა და უსიამოვნო სუნი დატრიალდა. კატა ნარზე ახტა, შეუტია, მაგრამ ძაღლმა აინუნშიაც არ ჩააგდო აფხორილი კატა და ცეცხლს მეორე გვერდი მიაფიცხა.

— ვაი შენს დედას, — სახე ჩამოიფხოტა ნინამ. — ისხედით, ცეცხლი არ ჩაგიქრეთ, დაიყინებით. მე იმ უბედურებთან გადავალ. — ჩუმი ხმით თქვა.

— არ წახვიდე რა, დედი! — კალთაზე ჩამოეკიდა გელა და აზლუქუნდა.

— აქ მო, ბიჭო, ჩემთან. — ჩაწყვეტილი ხმით თქვა ავთომ და კაცივით მხარზე მოხვია ძმას ხელი, ცეცხლთან დასვა, გვერდით მიუჯდა, დაუყვავა. ისევ მიაყარეს ფიჩხი ცეცხლს, ისევ აბრიალდა ალი.

ცეცხლთან ჯდომა და ბრიალა ალის ცქერა მოუნდა ნინას. ცეცხლი დარდს ატანინებს ადამიანს, ცეცხლი რომ არა, ამოდენა მარტოობას რა გაუძლებდა! მაინც, რამსიგრძეა ღამე... რაც ჩემი კაცი ომში წაიყვანეს, ცეცხლისპირას ბალღების ბრანძების ყემსვით ვლევ დროს... ნინას მძლავრად გაუწია გულმა ცეცხლისაკენ, მაგრამ სძლია თავს, თავშალი სასწრაფოდ მოიგდო ბეჭებზე, კარი გამოაღო და მეზობლის აწიოკებულ სახლს გახედა. ფიფქები სახეში შეეყარა, წამწამებში გაებლანდა. შალი მჭიდროდ შემოიხვია, მკლავები შიგ ჩამალა. კანკალმა აიტანა. გული მაგრად უცემდა, ყელში ებჯინებოდა. ცალი ხელით კაბის კალთა წამოიწია და ჩალეწილ ღობეს გადააბიჯა. ჭირისუფალმა თვალი მოჰკრა თუ არა ნინას, მიატირა.

— აქ როგორლა ვიცხოვრო, ქაა! — გამოეხმაურა ნინა და სული ძლივს მოითქვა. — შენი ბიჭი რომ აღარ ივლის ამ არემარეზე, ჩემს პატარებს აღარ ამიწიოკებს, ფიჩხს აღარ გადმომიყრის ღობეზე, ხურჯინს აღარ ამიწევს, ქალაქის გზამდე არ ჩამირბენინებს... ვაიმეე, რა ყოფილა ეს ოხერი ომი!... — ახლა გასცა პასუხი დედამ გელას კითხვას. — სიკვდილი, შიმშილი, წამება, დედა-შვილის დაშორება, ცოლ-ქმრის გაყრა, და-ძმის დაცილება ყოფილა... — ისევ შეეკრა ტირილისაგან სული და რაღაც ღმუილის მსგავსი ხმა ამოუშვა. ერთმანეთს ჩაეხვივნენ ფრონტზე დაღუპული მიტოს დედა და ნინა. მათ ხომ ერთად დაზარდეს შვილები — ზიარი ლუკმით, ზიარი ძუძუთი. ახლა რაღა უნდა ექნათ... მერე რაა, ჩემი ნაშობი რომ არ არისო, — გაჰკიოდა ნინა და მუშტებს იცემდა მკერდზე.

როდის-როდის ჩაწყნარდა სახლი, ძლივს მიადებინეს ბალიშზე თავი მიტოს სახედაკაწრულ დედას. ისევ ჩუმად ათოვდა არემარეს, გაძვალტყავებულ ძროხას, მიუხედავ ხბოს... ვილას ახსოვდა მათი სადგომში შერეკვა.

როდის-როდის მოაგონდა ნინას ცეცხლისპირას მიმსხდარი თავისი შვილები და ხურჯინში ჩაწყობილი,

ქალაქში წასაღებად გამზადებული მაწონი და რძე.

ბავშვები ჩუმად ისხდნენ, ცეცხლს ჩასცქეროდნენ, ალბათ ტირილს უგდებდნენ ყურს. ფიქრობდნენ, მაგრამ ვერაფერი გაეგოთ. ოთახში ადუღებული რძის სუნი ტრიალებდა. დედის დანახვაზე გაიხარეს, ისევ აივსო უდედოდ დაცარიელებული სახლი.

...გარიჟრაჟი მოსდგომოდა პატარა სარკმელს. ბავშვებს ეღვიძათ და თვალდაჭყეტილები ლოგინზე წამომჯდარ დედას შესცქეროდნენ. საერთო საბნიდან ხელების ამოღება ვერ გაებედნათ, — ციოდა, ლაპარაკისას პირიდან ორთქლი ამოსდიოდათ.

ეზოდან ფიჩხის შემოზიდვისას ნინამ კართან ოდნავ ფიფქწაყრილი ნაფეხურები შეამჩნია. ფიჩხი კერას მიაყარა, სველი ხელები კაბის კალთაზე ჩამოისვა და ბავშვებს გადახედა.

— ავთო სადღაა? — იკითხა შეშინებულმა.

— ტიროდა, დედი, იცი? — თავი წამოსწია გელამ.

— იტირებდა, აბა რა, შვილო, — თავი გააქნია ნინამ. — ძმასავით უყვარდა ჩემს ავთოს მიტო. არაფერი უთქვამს, სად მივდივარო?

ბავშვებმა თავი გააქნიეს.

... თოვლს ხეების ლურჯი ჩრდილი დაჰფენოდა. აქა-იქ, ბუჩქნართან, ხავსი და სურო მწვანე იყო, მაგრამ ფერი დაეკარგათ. სიჩუმე იდგა. ჯერ ადრე იყო, ტყეში ისევ ბინდი იწვა.

ავთოს გრძელი ჯოხი ეჭირა ხელში, ძლივს მიარღვევდა თოვლს. გათოშილ ხელებს რიგ-რიგობით ითბობდა იღლიაში... ცოტაც, — ფიქრობდა, — ვიცი, სადაც არიან მიყუჩულები. — ქალამნიანი ფეხით თოვლი გადაქექა, ჯოხის წვერიც მიაშველა, გული მძლავრად უცემდა. — „მეშინია? — თავის თავს ჩაეკითხა. — „არა, არ მეშინიაო“, — უპასუხა კიდეც, მაგრამ კი ეშინოდა. დიდმა სიჩუმემ იცის შიში. ჩუმად შემოგეპარება და ჩაიბუდებს გულში. შიშს დიდი თვალები აქვსო, გაუგონია. წინათ რომ არ ეშინოდა ტყეში შემოსვლა? ეჰ, მაშინ მიტო იყო მასთან... გული ჩასწყდა ავთოს.

ბუჩქი, აქა-იქ შერჩენილი მიყინული თოვლით, გამჭვარტლულს ჰგავდა. მის ძირში მიწა შავად მოჩანდა, მეჩხერ მწვანე ბალახს ნემსის წვერებივით ამოეყო თავი. ავთოს სუნთქვა შეეკრა. ერთგან, თონის პურის ოდენაზე, მწვანე დაძარღვული ფოთლები მიწას გართხმოდნენ. ზემოდან ფოთლებს თეთრი ლაქები ედოთ, ზედ სისხლის წვეთებივით ღვიოდნენ ყოჩივარდას თავჩაქინდრული ყვავილები. შიში და სიცივე დაავიწყდა ავთოს. ჩაიმუხლა, ჯოხს ჯერ ადგილი ვერ უპოვა, მერე მიაგდო, გაცებულმა დაიწყო ყვავილების კრეფა. ყოჩივარდები ძირიანად ძვრებოდნენ სველი მიწიდან და, ჭიაყელას ბოლოებივით გაწვრილებულნი, ერთმანეთში იხლართებოდნენ. დრო სწრაფად გადიოდა, ბლომად დაკრიფა, მერე ტყიდან გამოვიდა და გაიქცა. მირბოდა თავქვე პატარა ბიჭი, რაღაც ისე უხაროდა, ყელში ებჯინებოდა ყვირილი. დასცხა კიდეც, გათოშილი ხელ-ფეხი გაუთბა, ოღონდ თოვლისაგან დასველებული თხელი შარვალი ეკვროდა წვეტიან მუხლებს.

სულ მალე გამოჩნდა ქალაქი და ვიღაცის ეზოს წინ შეჩერდა ავთო. „ძაფი? — გაიფიქრა. — რით შევკრა კონები?“ — მერე უცებ რაღაც მოიფიქრა, დაიხარა და წინდას სათავე გაუწყვიტა, ერთი წვერი ამოაყოფინა ძაფს, ამოსწია. ნაქსოვი დაჰყვა და შემოირღვა. მოწყვიტა პირველი ნარღვევი, მარდად შემოახვია ყვავილის კონას წელზე და ცრემლი მოიწმინდა... „მიტოსაც ეგრე ვშველოდი კონების შეკვრას. — ნათლად დაინახა თავისი მიტო და გაუღიმა. — მოკვდაო... აი, თურმე რა ყოფი-



ლა ომი!.. როგორ უყვარდა ყვავილები, დაკრეფა მენანებაო, ამბობდა, ჩვენ კი გვეცინებოდა“. უეცრად აჩქარდა ავთო, თითქოს რაღაც გადაწყვიტა. „ეგრე ვივლი, მიტოსავით, ყოველდღე, ერთხელ კი არა, რამდენსაც მოვასწრებ, — ბევრჯერ. ავალ ტყეში, დავკრეფ ყვავილებს, ჩავალ ქალაქში, გავყიდი. პურის ფულში მაინც შევეხიდები დედებს“, — ფიქრში მიტოს უთხრა ავთომ.

ფიქრებში გართული უკვე რუსთაველის გამზირზე ჩამოსულიყო. ერთბაშად შეჰყვირა: „ყვავილებიი!“ თოვდა და ყოჩივარდები უფრო აჭყეტდნენ თვალებს. ვილაცა ბიჭის შეძახილმა გააცინა. ვილაცები მივიდნენ და იყიდეს. „ბიჭს ყოჩივარდის ფერი აქვს ხელებიო“, — თქვეს. ზოგმა ბევრი იყიდა, ზოგმა — ცოტა. თურმე ქალაქელებსაც უჭირთ ფული, ომია და იმიტომ... ფული უჩხრიალებდა უკვე ხელისგულზე ავთოს... „ნეტა რა მომივა ამ ფულითო“, — ფიქრობდა. ბაზარში ნახევარი პური და ნახევარი შინაური ძეხვი იყიდა. გონი დაებინდა სურნელებისაგან. ერთ დიდ მოღიავებულ ჭიშკართან შეჩერდა, პურს ცოტა წაატეხა, ძეხვს ბოლო წააჭამა და მერე საგულდაგულოდ შეინახა ორივე, შეეშინდა, სულმა არ წამძლიოს, არ შემომეჭამოსო. ზურგით მიეყრდნო ჩამოშლილ თაღის კიდეს და ლუკმა შეუჩერდა პირში. „რძე, მაწონი!“ — ვილაც ყვიროდა, ვილაც კი არა, დედის ხმა იყო, ავთო ეზოში შევარდა. დედა მძიმე ტვირთით იდგა და მაღალი სახლის სართულებს აჰყურებდა. ბიჭი დაღლილ მშობელს დააცქერდა და გული ეტკინა.

სახლიდან ქალები გამოვიდნენ, ხელად გაუცალეს ხურჯინი ნინას. ერთმა ქალმა, ჭრელი, ფუმფუმა ხალათი რომ ეცვა, ავთოს ალერსით მოუთათუნა მხარზე ხელი.

— სად იყავი, შვილო, გეძებე. მერე დრო აღარ იცდიდა და დარდიანი წამოველი ქალაქში, — გზაზე გამოელაპარაკა ნინა შვილს.

— დედი, შენ ერთი ამ პურს ეს ძეხვი შეატანე, ნახე, რა გემრიელია, — შეეხვეწა ავთო დედას. — ახლა შენ შინ წადი, ბალღებს პური აუტანე, მე ერთხელაც ავალ ტყეში, კიდევ უნდა დავკრიფო ყოჩივარდები.

— ეგრე სველი და შარვალგამოგლეჯილი? — ტყეში ტოტზე შეფხრეწილ შარვალზე წაავლო ნინამ შვილს ხელი. — წამო, გათბი, ემაგ შარვალს ამოგიკემსავ, პურსაც გაჭმევ და მერე წადი, — დაუყვავა ნინამ შვილს, იფიქრა, გათბება და ტყეში წასვლა დაეზარებაო.

— ნუ გეფიქრება, დედი, — გაეცინა ბიჭს, თან გამოგლეჯილი შარვლის ტოტზე ხელისგული დაისვა, — პატარა ხომ არა ვარ.

— თვალზე თვალი გამოიბი, ბიჭო!

— გააფრთხილა შვილი ნინამ. — არაფერი მოიწიოს, რა ვქნა! — ახლა თავის თავს უთხრა, ბიჭს რაღას გააგონებდა, ქარივით გაქრა სოფლის მოსახვევში.

## ახალი წიგნი

ჯემალ ნინუა

„იყავ მზად!“

ახლახან „ნაკადულმა“ გამოსცა ჯ. ნინუას წიგნი „იყავ მზად!“ რომელიც თავისებურ მცირე პიონერულ ენციკლოპედიას წარმოადგენს და უეჭველია, ერთნაირად კეთილ სამსახურს გაუწევს პიონერული ორგანიზაციის რიგებში შემსვლელებსაც, პიონერებსაც და პიონერხელმძღვანელებსაც.

მკითხველს საშუალება ექნება გადაფურცლოს საკავშირო პიონერული ორგანიზაციის მატიანის ფურცლები, გაეცნოს პიონერის საზეიმო დაპირებას, საბჭოთა კავშირის პიონერთა კანონებსა და უფლება-მოვალეობებს, პიონერული ატრიბუტებისა და რიტუალების რაობა-დანიშნულებას, ნორჩ ლენინელთა სასახელო საქმეებს, საკავშირო პიონერულ მარშს. ცალკე ადგილი აქვს დათმობილი იმ ნორჩ გმირებს, რომლებმაც სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი პიონერულ მწყობრში. წიგნში შესულია მეტად საჭირო ცნობები კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეზე და პიონერთა ქალაქ „მზიურზე“, სხვადასხვა ქვეყნების ბავშვთა ორგანიზაციებზე, პიონერულ ზეიმებზე.

უთუოდ დაეხმარება ნორჩებს წიგნში მოთავსებული სპეციალური კალენდარი, რომელიც ყოველი პიონერისათვის საგულისხმო თარიღებს შეიცავს და აგრეთვე იმ საჭირო მისამართებს, პიონერულ ჟურნალ-გაზეთებთან, პიონერთა სახლებთან და სასახლეებთან, ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა სადგურებთან, სპორტულ სკოლებთან დაკავშირებაში რომ დაეხმარება მათ.

წიგნში შეტანილია აგრეთვე პიონერული და კომკავშირული სიმღერები.

„იყავ მზად!“ უთუოდ საჭირო წიგნია, რომელიც კიდევ უფრო ლამაზსა და საინტერესოს გახდის პიონერთა ცხოვრება-საქმიანობას.





საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



მამაც ბიჭს მეგობარიც „მამაცი" სჭირდება... და სწორედ ასეთი მეგობარია დათოსთვის „ლასტოჩკა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გატაცებების ბიჭი

ნინო ხარაზიშვილი

ბავშვისაგან უცნაური შეკითხვა ვის უკვირს, და დათოს მშობლებიც თავიდან განსაკუთრებული ინტერესით არ მოეკიდებიან შვილის მზარდ ცნობისმოყვარეობას. მერე და მერე კიდევ უფრო მოსჭარბებია ბიჭს ჩხირკედელა შეკითხვებზე სრული პასუხის მიღების მოთხოვნილება. ექვსი წლისა ყოფილა, რომ უკითხავს, რომელი მდინარეა, მსოფლიოს შუაღ სახელმწიფოზე რომ გადის. თავადვე ჰქონია წინასწარ მოფიქრებული პასუხიც იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმე მის „გამოცანას" ვერ გამოიცნობდა. ამ ასაკში დათო აბრამიშვილს მშობლებისაგან (ორივე თბილისის სამხატვრო აკადემიის თანამშრომლების, ხოლო წარსულში — ცნობილი სპორტსმენებისაგან) უკვე მიღებული ჰქონდა ვაჟკაცობისა და გულმაგრობის პირველი გაკვეთილები. სწორედ იმ ზაფხულს ყოფილა, ტურიზმით გატაცებულ მშობლებს პირველად რომ წაუყვანიათ იორზე. მდინარის პირას სადილად ჩამუხლულებს იქვე, წყაროზე გაუგზავნიათ თითისტოლა ბიჭი. ფეხი დასხლტომია, ნახევარ მეტრზე მეტი სიღრმის წყაროში ჩავარდნილა და საწყალობლად აღრიალებული იპოვნეს თურმე.

7-8 წლისა უკვე საკმაოდ შეთამამებია ნაიდარას, თუმცა არც მთლად უშიშობა ყოფილა: ერთხელ, ლიახვის ჩქერზე გადასვლისას, ნავი გადაბრუნებია, ბევრი წყალი უყლაპავს შეშინებულს... სულ მალე მთიულეთისა და ფშავის არაგვებს გამოჰყოლია, მამის ხელმძღვანელობით დაძრულ თბილისელ სტუდენტ-მხატვართა საწყალოსნო ლაშქრობაში ჩართული. ამ ექსპედიციას განსაკუთრებით უმაღლის გამოცდილების შეძენას. ისიც ძალიან მოსწონებია მამაკაცის ხასიათის ძლიერ მხარეებთან პატარაობიდანვე ნაზიარებ ბიჭს, ზარისახოდან განსაკუთრებით ძნელმოსარევი და ძნელმოსაგერიებელი რომ ხდება ფშავის არაგვი...

ცოტა უფრო მოჩიტული მტკვარს გამოჰყოლია ვარძიიდან მცხეთამდე. ბოლო ორ წასვლაზე ალაზანი დაულაშქრავს...

დღეს დათო 13 წლისაა, მაგრამ მის ინტერესებსა და სპორტულ ბიოგრაფიაში ბევრს ნახავთ ისეთს, რაც მარტო მრავალმხრივობით კი არა, ცოტა სხვა ეპითეტებითაც შეიძლება განისაზღვროს. უპირველეს ყოვლისა, დათო აბრამიშვილი მამაცი ბიჭია, თანაც აქვს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სწრაფი და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. მისი ეს თვისებები არაერთგზის აღუნიშნავთ მამამისის — ბატონ არსენის მიერ ორგანიზებულ სტუდენტურ ლაშქრობებშიაც. განა მარტო მამის მოწადინების, — შვილის დაჟინებული სურვილისა და მუშაობის შედეგიცაა, რომ ამ ლაშქრობებზე უკვე კარგა ხანია ყველამ თვალი შეაჩვია ნაიდარაში ყოველთვის გამხმარტოებით მჯდომ ჯერ ისევ, უასაკო ბიჭს.

არ შეიძლება მამაცი ადამიანის აღზრდა, თუ ისეთ სიტუაციაში არ ჩააყენე, რომ მამაცობის ჩადენა შეიძლოსო, — ბრძანებდა დიდი საბჭოთა პედაგოგი ა. მაკარენკო. ჩვენ არ ვიცით, რამდენად ხელმძღვანელობდა დათოს მამა — თბილისის სამხატვრო აკადემიის ხის დამუშავების სასწავლო ლაბორატორიის გამგე არსენ აბრამიშვილი ამ ცნობილი სიტყვებით, მაგრამ შვილის აღზრდის მისეული მეთოდი გვარწმუნებს, რომ მასა და მის მეუღლეს — ქალბატონ ზეინაბს არც ერთი სპორტული ლაშქრობა არ მოუწყვიათ, სწორედ ამგვარი „აუცილებელი" პირობები და სიტუაციები რომ არ შეექმნათ პატარა ბიჭის სულიერ და ფიზიკურ შესაძლებლობათა სრული გამოვლენისათვის.

არსენ აბრამიშვილი სპორტის ოსტატია ტურიზმში. იგი საწყლოსნო ტურიზმის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარეა, და თავადაც მუდამ ცდილობს მაგალითი იყოს დათოსა და მისი უმცროსი ძმის — პატარა ზურიკოსათვის. ყოველდღიური, მომთხოვნელი მუ-

შაობით ზრდის მათ თავისი საყვარელი საქმიანობის ერთგულ კაცებად. ამიტომაცაა, რომ დათო უკვე შესანიშნავად არის დაუფლებული საწყლოსნო სპორტის ძირითად პრაქტიკულ და თეორიულ მოთხოვნებს. საკმაოდ ოსტატურად ახერხებს მდინარის აქოჩრილ ტალღაზე ბაიდარის შეყენებას და გადმობრუნებისაგან მის დაცვას, დაზიანებული ნავის დაკერებას და კარვის სწრაფ გაშლა-აკეცვას. ბიჭის სპორტულ დაოსტატებაში თვალდათვალ გვარწმუნებს მის მიერ წარმატებით დაძლეული ვეთხე სირთულის მდინარეები (ყველაზე უფრო ძნელმოსარევ მდინარედ მეხუთე სირთულისა ითვლება).

თბილისის 94-ე საშუალო სკოლის ამ ყოჩაღ მეშვიდეკლასელს უკვე ჩაბარებული აქვს საწყლოსნო სპორტის მოზრდილთა პირველი თანრიგის ნორმატივები, უკვე გავლილი აქვს საწყლოსნო ტურიზმში ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სემინარები, მაგრამ ჯერ არც პირველთანრიგოსნისა და არც ინსტრუქტორის წოდებები არ მიუღია უასაკობის გამო. მაგრამ ეს არ არის მთავარი. დრო უფრო დიდ გამარჯვებებსაც მოიტანს...

ცოტა ზემოთ, დათოს ინტერესებისა და სპორტული ცხოვრების დახასიათებისას, ჩვენ შემთხვევით სულაც არ გვიხმარია სიტყვა მრავალმხრივი. დიახ, დათო მრავალფეროვანი ინტერესების ბიჭია, თუნდაც იმიტომ, რომ ასევე, პატარაობიდანვე ერთგულობს დედის — ზეინაბ ბორცვაძის (წარსულში სპორტულ ორიენტირებაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის) ახალგაზრდობისდროინდელ დიდ გატაცებას.

ესეც იქნებოდა „დამნაშავე“ და, უთუოდ — გეოგრაფიის მოჭარბებული სიყვარულიც, ტოპოგრაფიული რუკის შესწავლა რომ აფიქრებინა მეორე-მესამეკლასელს. ახლა დათო რუკისა და რელიეფის კითხვის კვალიფიციური ოსტატია და კომპასსაც საფუძვლიანად არის დაუფლებული. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ, სპორტულ ორიენტირებაში ჩატარებულ რესპუბლიკურ ასპარეზობაში სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს მის ოსტატობას და ტყით დაბურული მთაგორიანი ადგილების წარმატებით გადალახვის ჯილდოდ მეორე ადგილი მიაკუთვნეს.

ეს წარმატებაც — წარმატებად, მაგრამ ჩვენ გვინდა დათოს მოუსვენარი ბუნების კიდევ ერთი მახასიათებელი გაგაცნოთ: მან უკვე ალპინიზმშიც მოსინჯა ძალები.

დამწყები ალპინისტის კვალობაზე, დათომ უკვე ბევრი რამ იცის — კლდეზე აცოცება, თოკების გაბმა, „ცოცხალი“ ქვისათვის და მეხისათვის თავის არიდება... გველეთის კლდეებზე ზაფხულის პერიოდის საწვრთნელი ვარჯიშების მოსაგონებლად ფოტოსურათებიც ბლომად შემორჩა... და კიდევ, არის სპორტის კიდევ ერთი ვაჟკაცური სახეობა, რომელიც დათოს ინტერესებს... ძიუდოში ვარჯიში დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო, მაგრამ მის მწვრთნელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ყოფილ პრიზიორს თედო გოგოჭურს რომ ჰკითხოთ, დათოსგან აუცილებლად მხოლოდ და მხოლოდ ძიუდოისტი დადგება. ამ ვარაუდს ბიჭის შარშანდელი წარმატებებიც უმყარებს, — მაშინ დათო აბრამიშვილმა მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირად პირველობაში მესამე ადგილი მოიპოვა.

აი, რამდენი საყვარელი და საინტერესო საქმე აქვს დათო აბრამიშვილს. ამ რამდენიმე თვის წინათ კი ყველაფერ ამას კიდევ ერთი და, დათოსთვის, როგორც ამ საქმის ორგანიზატორისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეც დაემატა: თბილისის 94-ე საშუალო სკოლაში VI-VII კლასელთაგან შეიქმნა და დაკომპლექტდა ტურიზმისა და სპორტული ორიენტაციის სექცია. რა თქმა უნდა, არც სკოლის დირექტორი (ჭაბუკა ტყეშელაშვილი) და არც ფიზკულტურის მეთოდისტი (კარლო კაპანაძე) არ გაუოცებია იმ გარემოებას, რომ ეს იდეა აბრამიშვილების ოჯახიდან წამოვიდა; მხარდაჭერა და თანადგომა კი დიდი გამოიჩინეს. სექციაში, რომელსაც დათო ხელმძღვანელობს, სადღეისოდ 20-მდე ბავშვია გაერთიანებული, ჰყავთ ერთი უმცროსკლასელიც — დათოს ძმა ზურიკო. მანაც, თავისი ძმისა არ იყოს, განსაკუთრებული



ექსპედიციის უპირველესი სიამოვნება ბუნებაში ყოფნაა...

მონაცემების წყალობით მოიპოვა ამ ძალზე რთულ სპორტულ სექციაში გაერთიანების უფლება.

კარგ დარში დღეებს ქალაქგარეთ — ლილოს დაბურულ ქედზე, მეფე ერეკლეს წყაროს მიდამოებში ან კოჯორში ვარჯიშს ანდომებენ გოგო-ბიჭები, ხანგამოშვებით თეთრწყაროში ან მარტყოფშიც ადიან. ისე კი თეორიული მეცადინეობები უფრო მოხშირებული აქვთ: ჯერ ისევ სწავლობენ რელიეფის კითხვასა და კომპასის ხმარებას, ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით ადგილმდებარეობის დამახსოვრებას და კუთხეების გაზომვას. ბევრს მუშაობენ, არც ერთს არ უნდა, დაჰკარგოს მოახლოებულ შიგასასკოლო სპარტაკიადაში (სხვათა შორის, შეჯიბრება სპორტულ ორიენტირებაში აქ პირველად ტარდება) მონაწილეობის შესაძლებლობა.

და კიდევ: არ შეიძლება დათო აბრამიშვილზე რამე თქვა და მისი ხელმარჯვეობის ამბავი არსად წაარო... დათოს კიდევ აქვს ერთი დიდი გატაცება — ხეზე ჭვეთა და ჭედურობა. ეს იმგვარი სიყვარულია, რომლისთვისაც არც დროის, არც ენერგიის, არც განწყობილების მოტოვება არ უჭირს.

განსაკუთრებით ცხოველებისაგან შექმნილი კომპოზიციები მიყვარსო... ახლაც ანალოგიურ თემაზე მუშაობს, მისი დამთავრება მოსწავლეთა ნამუშევრების სასკოლო გამოფენისათვის ჰქონია გათვალისწინებული.

ერთ-ერთი მთავარი სათქმელი ბოლოსთვის მოვიტოვეთ: დათო წარჩინებული მოსწავლეა...

უსმენ ამ ტანმაღალი, თავის ასაკთან შედარებით ვაჟკაცური გარეგნობის ბიჭის განსაცვიფრებელ თანამიმდევრულ, თუმცა მაინც ბავშვურ მსჯელობას და კიდევ ერთხელ თვალნათლივ ხედავ, რომ ყმაწვილის ეს გატაცება მისი მშობლების — ბატონ არსენისა და ქალბატონ ზეინაბის ზიარი პროფესიის მადლითა და შვილის თვალით დანახული ღირსებითაა ნასაზრდოები.

## გ ი ვ ი ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე

### უცნაური კონცერტი

— ჩემო ბზიკებო,
მეტისმეტად ნუ გაიოცებთ! —
თქვა კუტკალიამ, —
ვერ გავმართავ
დღეს სოლო კონცერტს...
წელან სცენაზე
გამოსვლის წინ... ეხ, ბედი ჩემი!
ბოროტმა ქარმა
გამომტაცა ხელიდან ხემი... —
აუციმციმდა თვალებზე ცრემლი
და გააგრძელა:
— აბა, უხემოდ
ვიოლინოზე როგორ დავუკრა,
თქვენ გეკითხებით?
— როგორც გინდაო! —
აზუზუნდა უეცრად ყველა,
— ფეხებით! ფრთებით!
რაღას იზამდა კუტკალია,
მარჯვენა ფეხი ასწია ხელად,
გაუსვა სიმს და
თან დაამღერა:
— დური-დური!
პეი, დური!
დღე დამიდგა უცნაური,
რადგან ჩემი ფეხით დაკრულს
ახლა ვისმენ ჩემი ყურით,
რომელიც მაქვს იმავ ფეხზე
გამობმული, პეი დური! —
აქ კუტკალიას
უცებ ბზარი გაუჩნდა ხმაში —
იცრემლებოდა...
დარბაზიდან კვლავ ქუხდა ტაში.

### სისუფთავის კაცი

გია, ლელა, ბადრი, ანა,
ვინ გაღვიძებთ
ყოველ დილაადრიანად,
მაღვიძარა?
— არა! არა!
მაშ, ვინ? იქნებ რადიო,
ან ტოროლა ხმაწკრიალა,
რომ მოჰყვება ალიონს?
— ერთი, სისუფთავის კაცი,
ზარმაცებს რომ ძილს არ აცლის,
დღესაც მან აგვაწრიალა...
ჯერ იყო და, ძირგავარდნილ
ტაშტზე სცემდა რაღაც რკინას,
თან მთელი ხმით გაჰყვიროდა:
— ნაგავიი!
დიდ-პატარას, ყველას თავი
აგვატკივა
იმ თავისი უცნაური საკრავით.
მერე, როცა საზღვარს
გასცდა,
ავდექით და მაგრად დავუცაცხანეთ:
— თუ მაგ ძველი ტაშტის ნაცვლად
არ შემოჰკრავ თითბრის ზარსა,
ნუღარ დაგვენახებიო ამ მხარეს.
მთელი კვირა აღარ გამოჩენილა,
ალბათ ძლიერ იმოქმედა გაკიცხვამ:
მაგრამ მოხდა სასწაული —
ერთ დილას
უნაზესმა ჰანგმა გამოგვაღვიძა.
გამოვაღეთ ფანჯრები და
სახტად დავრჩით,
გია, ბადრი, მე და ლელაც:
მზისკენ სახეგაბადრული,
ყელგამოწვდილ სალამურით
სისუფთავის კაცი იდგა
ჩვენს ქუჩაში,
— ჩამოდითო! — ძირს გვიხმობდა
ყველას.

### ბუხართან

მოღუღუნე ნაღვერდალი
ვარსკვლავს ჰგავდა თუ ნათურას?
თბილ ბუხართან რძიან ქვაბში
ხელი დიდხანს აფათურა
და სულ მალე იმ ქვაბიდან
ანა ბებომ, თმაჭაღარამ,
თეთრი გუნდა ამოზიდა
და ბავშვები გაახარა,
იმ კევივით კრაჭუნია
ციცქნა, ციცქნა ჭყინტი ყველი
ხელისგულზე რომ დაუდო
ლევანს, ვანოს, ანას, ნელის...
— მიავ, მშია! დაგავიწყდი?
მეც მარგეო, მიავ, ცოტა! —
იმ კეთილ და ლამაზ ბებოს
კნუტმაც თავი შეაცოდა.
ბებომ უთხრა:
— შენც მახსოვხარ,
ნეტავ რატომ ღელავ ასე? —
და დაუსხა ფისუნიას
თბილი შრატი ჭრელ ლამბაქზე,
ის გუნდა კი, — ჭყინტი ყველი,
მთვარესავით მოქათქათე,
იდო ჯამზე და მთელ ოთახს
ჰფენდა ირგვლივ ზღაპრულ ნათელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №6

## ასე ცხოვრობს ჩვენი რაზმეული

სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს ჩვენი სკოლის ზ. რუხაძის სახელობის პიონერული რაზმეული.

ყველა პიონერი ბეჯითი და შრომისმოყვარეა. სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ჩაება რაზმეული ოპერაცია „ნობათი წიქარას“ განხორციელების საქმეში. ზაფხულის არდადეგებზე პიონერები კოლმეურნეებს მეცხოველეობის ფერმებისთვის საკვების დამზადებაში ეხმარებოდნენ. ბეჯითმა გარჯამ შედეგი გამოიღო, ჩვენმა გოგო-ბიჭებმა 16 ტონა მწვანე მასა დაამზადეს, მაგრამ მარტო ამით როდი შემოიფარგლება მათი საქმიანობა, პიონერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. შეფობა აქვთ აღებული მეცხოველეობის ფერმაზე, ბევრ მათგანს უკვე გადაწყვეტილი აქვს, სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელში დარჩეს და მხარი უსწოროს სოფლის სასახელო მშრომელ ადამიანებს.

რაზმეული ყოველ ღონეს ხმარობს საკავშირო მარშის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. ძლიერი პიონერები ეხმარებიან შედარებით ჩამორჩენილ მოსწავლეებს, იბრძვიან დისციპლინის განმტკიცებისათვის, რის შედეგადაც თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა უმიზეზოდ გაკვეთილების გაცდენები. სკოლის პიონერთა ოთახში გამოფენილია პიონერების მიერ გაფორმებული თემატური ალბომები და კედლის გაზეთები. დერეფანში თვალს იტაცებს გამოფენა „ჩვენი პატარა ხელებით“, რომელზეც წარმოდგენილია გოგონების ხელგარჯილობის ნიმუშები, ბიჭების მიერ დამზადებული ურემი, გუთანი, საწნახელი, ნიჩბები, ბარები, კალათები და სხვ.

რაზმეული გულმოდგინედ მოემზადა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავის შესახვედრად. ჩვენმა წითელმა კვალმაძიებლებმა შეისწავლეს შინმოუსვლელთა ბიოგრაფიები. ჩაიწერეს სამამულო ომის მონაწილეთა ნაამბობი. მათ კარგად ესმით, რომ მომავალმა თაობებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ მათზე, სახელოვან თანამემამულეებზე. ეს ჩანაწერები, ეს ალბომები ძვირფას რელიკვიად დარჩება სკოლის ისტორიაში.

**ირინა გუგუხიშვილი,**
ჭიათურა, დვირის საშუალო სკოლა,
X კლასი.

## ჩემი ზაფხული

გასული ზაფხული ზუგდიდში გავატარე. ვთამაშობდი, წიგნებს ვკითხულობდი. ვისწავლე რეცხვა, უთოობა, ეზო-კარის დასუფთავება.

ერთ დღეს ბებიამ წამიყვანა და მაჩვენა პოეტ რაფიელ ერისთავის მიერ გაშენებული, საოცრად ლამაზი ხეივანი. ხეივანს შუაში ანკარა რუ ჩაუდიოდა, მისი ნაპირი ზღვის ბალახებით იყო შემოსილი. იქაურობა სურნელებას აფრქვევდა.

განვაგრძეთ გზა და დადიანისეულ სასახლეს მივადექით. ძალიან მომეწონა სასახლის ჩუქურთმებიანი აივანი, ფანჯრები. ბებიამ მითხრა, რომ ეს სასახლე ჩემი ბაბუის ბაბუასა და მის ძმებს უშენებიათ. სასახლის უკან პატარა ეკლესიაა, ეკლესიის უკან კი — განთქმული ბოტანიკური ბაღი. თურმე მის გასაშენებლად ეკატერინე ჭავჭავაძეს საფრანგეთიდან მოუწვევია ცნობილი მებაღეები. გავყევით ჭადრების ხეივანს და ბაღის შუაგულში კამკამა ტბას წავადექით. დავსხედით ტბის პირას და მოცურავე გედებს დავუწყეთ ყურება. ხეებზე ჩიტები ჟღურტულებდნენ საამოდ.

ასეთი მშვენიერი იყო ჩემი ზაფხული.

**ნათია ჯინჭარაძე,**
თბილისი, 1-ლი ექსპერიმენტული
სკოლა, IV კლასი.

## ჩვენ თემურელები ვართ

ჩვენი რაზმის ნორჩი თემურელები ამას წინათ დიდი სამამულო ომის ვეტერანს, დამსახურებულ ექიმს, ჩვენი რაზმის საპატიო პიონერს ნინო ახალაძეს ვეწვიეთ. ნინო ბებიას დახმარება ადრევე გადავწყვიტეთ დიდებისა და სიმამაცის გაკვეთილზე, მაგრამ გაბმულმა წვიმებმა ხელი შეგვიშალა. როგორც კი ოდნავ გამოიდარა, ნინო ბებიას ეზოკარს მივაშურეთ, დავულაგეთ ეზო, დავუპეთ შეშა, მოვუზიდეთ წყალი. გახარებული და მადლიერი ნინო ბებია გულღიად გაგვიმასპინძლდა. არანაკლებ გახარებულები ვიყავით ჩვენ, თემურელები, ჩვენ ხომ სიხარული მოვუტანეთ ადამიანს, რომელიც ჩვენი ბედნიერებისათვის იბრძოდა, შემდეგ კი ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნავდა. ჩვენ კიდევ ბევრჯერ ვეწვევით მას.

ქ. მახარაძის მე-8 საშუალო სკოლის
ს. ჩხაიძის სახელობის მე-7 რაზმის
პიონერები.

## რა კარგი იყო!

რა კარგი იყო შარშანდელი ზაფხული, როცა ცხვარიჭამიის პიონერთა ბანაკ „თიანეთში“ ვისვენებდი! კიდეც დავისვენე და ბევრი სასარგებლო ცოდნაც შევიძინე. მე ნორჩ ნატურალისტთა წრის წევრი ვიყავი. წრის ხელმძღვანელმა სოფიო აფციაურმა გაგვაცნო სამკურნალო მცენარეები და გვასწავლა მათი გამოყენება. გავიგე, რომ თავშავა თავის ტკივილსა და სხვა ავადმყოფობებს კურნავს; ვარდკაჭაჭა კარგია ნაღვლის ბუშტის ტკივილის დროს; ბარამბო რგებს გულს, ღვიძლს, პირში ცუდ სუნს აქრობს. ერთ ჩვენს ამხანაგს სახეზე მუწუკე-

ბი დააყარა. დეიდა სოფიომ მინდორში გაგვიყვანა, გვაჩვენა ყვავილი ტუხტი, მისგან მალამო დაგვამზადებინა, რომელმაც მუწუკები გააქრო. გავიცანით კრაზანას, მრავალძარღვას, წითელი გვირილას, თეთრი გვირილას, მინდვრის პიტნის, ენდროს, კატაბალახას, ლოლოს, კულმუხოს გამოყენების წესები. ბანაკის ეზოც გავალამაზეთ სამკურნალო მცენარეებით — ნარგიზებითა და გვირილებით.

მოუთმენლად მოველი ზაფხულის მოსვლას, როცა კვლავ წავალ ბანაკში და ცოდნას უფრო გავიმდიდრებ.

**მაკა ჩოხელი,**
თბილისი, 142-ე საშუალო
სკოლა, IV კლასი.

# ჩვენი გალერეა

## შინმოუსვლელ ბაბუას

გამარჯობა, საყვარელო ბაბუა! ხომ არ გაგიკვირდა, საყვარელოს რომ გიწოდებ? — მე ხომ შენ მხოლოდ სურათით გიცნობ და თითქოს უცხო უნდა იყო ჩემთვის, მაგრამ, აბა, როგორ არ უნდა მიყვარდე!

შენ კავკასიონის მისადგომებთან ერკინებოდი მტერს, ასეულ ათასობით თანამებრძოლთან ერთად ფოლადის ფარად ეფარე შენს სათაყვანო საქართველოს, მშობლიურ მიწა-წყალს. მე ეს ფრონტიდან გამოგზავნილი, სისხლის წვეთებში დაწერილი სამკუთხა ბარათებით ვიცი.

ისიც გავიგე, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ყოფილხარ და ჯავშანი გქონია — ზურგში უნდა დარჩენილიყავი, ხოლო შენ დაემშვიდობე მშობლიურ რაჭას, მშობლებს, მეუღლეს, სამ მცირეწლოვან შვილს და ფრონტს მიაშურე, სადაც წყდებოდა კავკასიის ბედი. თავგანწირულად, ქართველურად იბრძოლე და...

ბებიას მუდამ ახსოვს გამოთხოვებისას შენი ნათქვამი: „თუ ვერ დავბრუნდი, მაინც მელოდე, მე აუცილებლად ცოცხალი ვიქნები“. ახლა ვგრძნობთ, რა მაგიური ძალა შეიძინეს ამ სიტყვებს: ახლაც კი გელოდებით...

ასე მგონია, თითქოს შენზე თქვა პოეტმა: „შინმოუსვლელო, სადა ხარ, სად ლპება შენი ქოჩორი, თვალი სად ამოგილამდა?..“

შენი ხსოვნა არასოდეს დაიბინდება დავიწყების ბურუსით. მე და ჩემმა თანატოლებმა დიდ სამამულო ომში ბრძოლის ველზე დაცემულ ბაბუებს გულში ავუგეთ ძეგლი, მოწიწებით წარმოვთქვამთ თქვენს უკვდავ სახელებს.

დიდი გამარჯვების მეორმოცე გაზაფხულია, გოგი ბაბუა, გილოცავ!..

**ეკა ბაბნიძე,**
ქ. რუსთავი, მე-16 საშუალო
სკოლა, VII კლასი.

## წერილი მირზა გელოვანს

გამარჯობა, მირზა!.. გიკვირს ალბათ, ვინ არისო ირმა. ვინ იცის, რამდენ ჩემნაირ ირმას ენატრები...

გახსოვს, როგორ წაიყვანე ბავშვები სისხამ დილით თიანეთის სკოლიდან და აჩვენე, თუ როგორ ამოდიოდა დიდი, წითელი, მხიარული მზე?

გახსოვს, როგორ დადიოდით შენ და ლადო ქუჩებში, როგორ ეშაირებოდით ერთმანეთს? ჰო, შენ და ლადო... რა ბედნიერი იყავით მაშინ... ხოლო როცა მკერდს გიწვავდა რედაქციიდან წამოღებული გაზეთი, რომელშიც პირველად დაიბეჭდა შენი ლექსები, ისევ ლადოსკენ გაგიწია გულმა. მაგრამ უკვე ძალზე ავად იყო ლადო...

მერე ომი დაიწყო და ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვი, სწორედ იქ გაიგე, თუ რა ყოფილა სიმწარე, უბედურება, ცრემლი. სწორედ იქ გაიგე ლადოს... ჰო, სიკვდილი. ცრემლები გინამავდა ღაწვებს და თავს ძლივს იკავებდი, რომ არ აქვითინებულიყავი. როგორ გრგვინავდა მაშინ შენთვის ცა და მიწა, თუმცაღა ბრძოლა ჯერჯერობით შეწყვეტილი იყო.

გახსოვს? — „მე დავბრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ!..“

სწორედ ამ ლექსს კითხულობდი შენ, როცა ქარმა მოგტაცა იგი. შენ ადექი... დაიხარე... და... ბრმა ტყვიამაც გაიზუზუნა.

მაგრამ არა, შენ იქ არ დარჩენილხარ, შინმოუსვლელი არ გქვია, რადგან შენს ლექსებსა და ჩვენს გულებში ცოცხლობ, მირზა...

**ირმა გაგინაშვილი,**
ქობულეთი, 1-ლი საშუალო
სკოლა, VII კლასი.

## წყარო

ჩვენი სოფლის თავში ერთი წყარო ამოჩქეფს მიწიდან. თითქმის მთელი სოფელი მას ეტანება. მეც ვსვამ და ასე მგონია, ასეთი გემრიელი წყალი არსად არ არის. ზაფხულში ისეთი ცივია, კბილებს მოგვკვეთავს, ზამთარში კი ლამის თბილია. ისეთი კამკამაა, ფსკერზე მიმობნეულ ყველა კენჭს დაითვლი; მზის სხივები მის ჭავლებში ცისარტყელას ფერებად ირეკლება. იქვე ტოტებგაბარჯღული ცაცხვის ხიდან ნაირნაირი ჩიტუნები დაჭჭიკჭიკებენ, უგალობენ... ზოგჯერ ირმის, შვლის ნუკრებიც ესტუმრებიან ხოლმე და გუნებას იხალისებენ მისი სმით.

და მოხტუნავს, მორაკრაკებს, მოიმღერის... დიდი და პატარა მას „ირმის წყაროს“ ეძახის. მართლაც შესაფერისი სახელია!

**დათო ადიკაშვილი,**
გარდაბანი, მარტყოფის 1-ლი
საშუალო სკოლა, IV კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი მეგობარი ზიონგ-საი-ჩიო

1984 წლის ბოლოს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში გავემგზავრე შემოქმედებითი მივლინებით. ჯერ კიდევ 25 წლის წინათ ვარ ნამყოფი ამ ქვეყანაში — მაშინ ჰანოის სამხატვრო ინსტიტუტში ვასწავლიდი ახალგაზრდებს, და არაერთი საინტერესო შეხვედრა მახსოვს მათთან, მაგრამ ჩემთვის დაუვიწყარია შეხვედრა ვიეტნამელ პიონერებთან, რომლებიც უფროსების მხარდამხარ იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. ზოგიერთი მათგანი სახალხო გმირიც კი გახდა, ბევრი კი გმირული სიკვდილით დაიღუპა.

ჩემო ნორჩო მეგობრებო, თქვენ ალბათ ბევრი გსმენიათ ვიეტნამის შესახებ, მაგრამ მე მაინც მინდა გაგახსენოთ, რომ ამ საინტერესო ქვეყანაში, რომლის კონტური რუკაზე ლოტოსის ყვავილს წააგავს, 60 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.



ბევრი გაჭირვება ნახა ვიეტნამელმა ხალხმა, იგი ხომ თითქმის მთელი საუკუნე იბრძოდა სამშობლოს გათავისუფლებისათვის. გაჭირვებასა და შიმშილში იზრდებოდნენ ვიეტნამელი ბავშვები, მამა-პაპათა შემხედვარე, ისინიც პატრიოტებად იზრდებოდნენ, თავისუფლებისათვის ბრძოლებში კაცდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ.

ვიეტნამელმა ხალხმა გაათავისუფლა სამშობლო მოძალადეებისაგან, საბოლოოდ მოიშორა კოლონიზატორთა უღელი და ახალი ცხოვრების შენებას შეუდგა. ვიეტნამელები აშენებენ და ალამაზებენ თავიანთ ქალაქებსა და სოფლებს, რაშიც მათ ბავშვთა კავშირიც ეხმარება.

ვიეტნამში ახალგაზრდობას ყველა პირობა აქვს შექმნილი, რომ დაეუფლოს სწავლა-განათლებას, იშრომოს და იხაროს.

ვიეტნამელებს ძველთაგანვე ძალიან უყვარდათ მხატვრობა, საერთოდ ხელოვნება. ქვეყანაში ბევრი, ძალზე საინტერესო ისტორიული ძეგლია. ავიღოთ თუნდაც, XI საუკუნის პირველი ნახევრის შესანიშნავი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი ვანმიეუ ქ. ჰანოიში, სადაც ოდესღაც პოეტების თუ სახალხო მთქმელების პაექრობები იმართებოდა ხოლმე. აქვე იფინებოდა მხატვრული ქმნილებები, ხოლო მგოსნები ლექსებს უძღვნიდნენ ამა თუ იმ მხატვრის ნაწარმოებებს.

ვიეტნამის მხატვართა კავშირი, რომლის სათავეშია გამოჩენილი ვიეტნამელი მხატვარი ჩან-ვან-კანი, რეგულარულად აწყობს ბავშვთა ნახატების გამოფენებს, საუკეთესო ნამუშევრებს აჯილდოებენ და სათუთად ინახავენ.

1985 წლის 4 იანვარს ქ. ჰანოის ერთ-ერთ დიდ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ბავშვების ნახატების საერთაშორისო გამოფენა. მის გახსნაზე მეც ვიყავი მიწვეული. ამ გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბავშვებმა. საინტერესო იყო, რომ გამოფენის ზოგიერთი მონაწილე თვით ესწრებოდა მის გახსნას. წარმოდგენილი ნამუშევრები გამოირჩეოდა უშუალობით, კომპოზიციების ნიჭიერი გადაწყვეტით.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე სჭარბობდა მშვიდობის თემა. ნორჩ მხატვრებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ დღეს მშვიდობა საყოველთაო საზრუნავია, და რომ კაცობრიობის ამ ურთულესი ამოცანის გადაწყვეტაში ყველა უნდა მონაწილეობდეს.

გავიცანი ამ შესანიშნავი გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე, ვიეტნამელი პიონერი, 14 წლის ზიონგ-საი-ჩიო, იგი კარგი სპორტსმენია. განსაკუთრებით ფეხბურთი უყვარს და, როგორც მითხრა, შეუძლია დილიდან დაღამებამდის ითამაშოს, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მას უყვარს ხატვა და ოცნებობს, მხატვარი გამოვიდეს, ზიონგ-საი-ჩიომ თავისი რამდენიმე ნახატი მისახსოვრა.

გ. მიზანდარი



### ვაჟას

ტყეში შვლის ნუკრი,
ხის ძირში ია...
აგერ, თეთრ ქვასთან
იცინის ლვია.
ჩივის წიფელი, ხმელი წიფელი
და მორაკრაკებს იქვე მთის
წყარო,
ამ სილამაზის მხილველი კაცი
უთუოდ იტყვის, პოეტი ვარო.
ფშავში გარემო გვილიმის ნაზად
და აწერია ყველაფერს: ვაჟა.
ჩხიკვ თომას ქორწილს იხდის
ბუნება,
არწივი ჰქუხს და თაგვმა ინება,
რომ ღვინო არ სვას, გაერთოს
თხილით,
ფოთლის ქვეშ წვება დიდი
სიფრთხილით.
რომ დაინახოს ეს ასე ნაზად
ვის შეუძლია?
მხოლოდ შენ, ვაჟავ!

ხათუნა ხავთასი,
თბილისი, 126-ე საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

### გაზაფხულდა

გაზაფხულდა,
აყვავილდა არემარე.
რა ლამაზად!
მოიკაზმე ჩემო მხარევ!
მთაში — წყაროვ,
ბარში — ღელევ,
კვლავ იხარეთ,
კვლავ იმღერეთ.
ჩიტუნებო, იჟივჟივეთ,
ნუ მოგვაკლებ, მზეო, სხივებს!

მირანდა მიმინაძე,
ქ. ზუგდიდი, მე-8 საშუალო
სკოლა, IV-ბ კლასი.

### დაველოდები

შორს მოჩანს მთები,
მაღალი მთები,
დაფარულები თოვლით, ნისლებით,
მე იმ სითეთრის ყურებით ვტკბები
და რაღაც უთქმელ
გრძნობით ვივსები.
ჩვენთანაც მოვა ზამთარი სოფლად
და გზები თოვლით დაიბარდნება.
დაველოდები მე იმ ენძელას,
ზამთრის შემდეგ რომ დაიბადება.

ნონა ბერიძე,
გეგეჭკორი, ლეციცხვაიეს
საშუალო სკოლა, VII კლასი.

### ● ენძელა ●

...მეგონა, ჩემი უმცროსი ძმა სადმე თოვლში დამრჩებოდა. მაგრამ მოჰყვა ჩემს ნაკვალევს, ზოგჯერ გასწრებასაც კი ცდილობდა. ერთი-ორჯერ სახე და ყურები მოვუსრისე, არ მოეყინოს-მეთქი. მიხაროდა, ცხრა წლის ბიჭი ასე ვაჟკაცურად რომ მომდევდა.

იალღუჯის საბაგირო გზის ქვედა სადგურთან გავჩერდით. წუთით შევისვენეთ. მერე ხელით თოვლის ხვეტა დავიწყეთ.

— გოჩა! აი, ენძელა!

— ვაი, ბიჭო, თოვლისთვის გაგიყოლებია! უფრო ფრთხილად გადახვეტე, სოსო!

უფრო და უფრო მეტ ენძელას ვპოულობდით. ლამაზები იყვნენ, მოსაწყვეტადაც კი გვეცოდებოდა. მათაც ხომ უნდოდათ სიცოცხლე. მაგრამ...

...თავქვე სირბილით დავეშვით. სახლის კიბეებიც ავირბინეთ. სოსო წინ გავატარე, ოთახში შევიდა და დამიცადა, დედასთან ერთად მივედით.

— მოგვილოცნია რვა მარტი, დედი!

დედამ გულში ჩაგვიკრა.

— გმადლობთ, შვილებო... მაგრამ არ შეგცოდდათ? — ჩაიჩურჩულა.

წამით შევცბით, მაგრამ მერე გული დავიარხეინეთ: ჩვენ ხომ სულ ცოტა დავკრიფეთ, ისიც დედისთვის...

გოჩა კრაწაშვილი,
რუსთავი, მე-4 საშუალო
სკოლა, VII კლასი.

### ზამთარი

მოვიდა ზამთარი, მოვიდა
თეთრი გვირილების თოვითა.
ზამთარმა, პირქუშმა ზამთარმა
მთები და ბორცვები დაფარა.
მერე ტყე და ველი დათოვა.
ბოლოს... წავიდა და დაგვტოვა.

ეთერ გაფრინდაშვილი,
ჭიათურა, მუქრუთის რვაწლიანი
სკოლა, VII კლასი.

### ● სიცოცხლის სიმფონია ●

თენდება. ნელა, აუჩქარებლად მატულობს სინათლე.

ამომავალი მზე ცისკიდურს წითლად აჩუქურთმებს... მშვიდად მოიწევს ზევით, ტკბილ სალამს უძღვნის სამყაროს... აჟრიამულდნენ ჩიტუნები... წამით წვრილი წვიმის წვეთები სიყვარულის სიმებად აწკრიალდნენ ცასა და დედამიწას შორის... სუნთქვაშეკრული გასცქერის ცისკარს თეთრი ჭიუხი. „პირს იბანს" — გაიფიქრებს თავისთვის და თვითონაც ხალისდება, მხრებზე დაიხედავს... შვენის სიამაყე და სიდიადე. შეხედავ და უნებურად „დიდება შენდა"-ო, დაგცდება.

მოვა მზე, მოვა და ჭიუხს გაუსწორდება სიმაღლეში. ერთხანს თვალს არიდებენ ერთურთს და



ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების მე-12 რესპუბლიკური ოლიმპიადა, რომელიც დიადი გამარჯვების 40 წლისთავს მიეძღვნა, საქართველოს თითქმის ყველა ქალაქისა და რაიონის ნორჩი წარმომადგენლების თვითმოქმედების ჟანრობრივად მრავალფეროვან, მასშტაბურ დათვალიერებად იქცა.

საგაზაფხულო არდადეგების დღეებში თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ უკეთესთა შორის უკეთესნი, რაიონული, საქალაქო და ზონალური დათვალიერებების გამარჯვებულნი. მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგნენ მკაცრი და კომპეტენტური ჟიურის წინაშე ქორეოგრაფიული და დრამატული

ლექსს კითხულობს
ეკა კირისელიძე,
თბილისის მე-9 საშ. სკოლა.



კოლექტივები, მომღერლები, ვოკალური ჯგუფები, მხატვრული კითხვის ოსტატები, ხალხური საკრავთა ანსამბლები, მომღერალთა გუნდები, სიმფონიური ორკესტრები.

[illegible]

XII რესპუბლიკური ოლიმპიადა დამთავრდა. მისი მონაწილენი კარგა ხანია დაუბრუნდნენ სკოლის მერხებს და სიამოვნებით იხსენებენ თბილისში გატარებულ დღეებს, რაც თქმა უნდა, უფრო ტკბილად მათ ოლიმპიადის ლაურეატები იგონებენ, ისინი, ვინც თანატოლთა შორის საუკეთესონი აღმოჩნდნენ.

ლილი სისარულიძე,
ქ. [illegible] 1-ლი საშ. სკოლა



## მეთორმეტე რესპუბლიკური







● თბილისის 186-ე საშ. სკოლა.
● გეგეჭკორის რაიონი
● აბაშის რაიონი
● ჩოხატაურის რაიონი

გ. ხანიასა და გ. ცაგარლის ფოტოები.

ყურს უგდებენ, როგორ თხზავს ბუნება სიცოცხლის სიმფონიას...

ბოლოს ისევ მნათობი დაიძვრება, ზევით და ზევით აიწევს და...

ალელდება ჭიუხი, შეიშმუშნება, ვერაფერს კი ვერ იტყვის... სევდით დაიხედავს თეთრ წვერზე და...

ცრემლებს ვერ შეიკავებს, მოაწვება თვალებზე, ჯერ წვეთ-წვეთად გროვდება აქა-იქ, მერე ერთად მოქუჩდება და ქვევით დაეშვება ჯერ პაწია ნაკადულად, მერე კი გიჟმაჟ მდინარედ.

ჭიუხი დგას უხმოდ და იცრემლება... რა ადარდებს ნეტავ?

იქნებ მზის სიდიდესა და სიდიადეს შენატრის?..

ნინო გაბური,
გარდაბანი, გამარჯვების საშუალო სკოლა, IX კლასი.

## გულყვითელა

— ჭიკ! ჭიკ! — დაიჭიკჭიკა ჩემს ფანჯარასთან პატარა გულყვითელა ჩიტმა და მინას რამდენჯერმე შეახო ნისკარტი. მივხვდი: გაზაფხულის მოსვლა უნდა ეხარებინა...

ფანჯარა ფრთხილად გამოვაღე და ლამბაქით პურის ნამცეცები დავუდგი წინ. ჩიტმა ერთი კი შემომხედა, მერე შეიფრთხიალა და, ფრრრ! — გაუჩინარდა.

გული დამწყდა.

მაგრამ სულ მალე იგი ისევ მესტუმრა, ოღონდ მარტო კი არა, გულყვითელების მთელი გუნდი ახლდა თან. ჯერ თვითონ დაიწყო პურის ნამცეცების აკენკვა, მერე სხვებიც შეუერთდნენ.

მე ქართული ანდაზა გამახსენდა: „მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო“, და გულიანად გამეცინა.

მას შემდეგაც არაერთხელ მეწვივნენ გულყვითელები — ბორჯომში ხომ ისინი ბლომად დაფრენენ.

ირმა ინაშვილი,
ბორჯომი, 1-ლი საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## მობრძანდა გაზაფხული

ჰა, მიიწურა ზამთარი,
ყოჩივარდები მღერიან;
გახარებული ბავშვები
კეკლუც გაზაფხულს ელიან.
და გაზაფხულიც მობრძანდა
ულამაზესი ღიმილით,
ია-ვარდების ფერებით,
ჩიტების ჟივილ-ხივილით.

გიორგი ზაალიშვილი,
თბილისი, 1-ლი ექსპერიმენტული სკოლა, IV კლასი.

## მთაში

მთები.

მაღალი, ზვიადი, წარბშეუხრელი მთები.

მწვანენი და თეთრნი, ყვავილოვანნი და თოვლიანნი...

ან მწვერვალები...

ღრუბლებამდე რომ აჭრილან... გოროზი, მრისხანე მწვერვალები, არწივის ფრთებით მონაბერი ქარი რომ აუხამხამებთ თვალ-წარბს ქამიდან ჟამზე.

სდუმან მთები.

მათი გულიდან ამომსკდარი და მერე კლდეზე გადმოკიდებული ჩანჩქერები მეტყველებენ მხოლოდ. მქუხარებენ ჩანჩქერები და მაშინ მთაც მქუხარებს — დედა ამ ჩანჩქერებისა.

მთებმაც იციან სიყვარული თუ სიძულვილი.

თუ მშიშარა და სუსტი შეხვდა, მოგქანცავს, დაგღლის, იქნებ ხევშიც მოგისროლოს.

თუ გულადი და შეუპოვარი ხარ, მხრებზე შეგისვამს, ზემოდან გადმოგახედებს, ქვეყნის სილამაზით დაგატკბობს.

თუ მთის გამოცდას გაუძელი, უთუოდ ძალშემატებული, გულმოცემული და ბედნიერი დაბრუნდები იქიდან.

— ეჰეი!.. — გავძახი მთებს.

ხმა კლდე-ღრეს მოირბენს და მერე ასკეც ექოდ ბრუნდება უკან.

თენგიზ ტოტონავა,
წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი.



ბ ო რ ო დ ი ნ ო ს ბ რ ძ ო ლ ა

ზაალ მარუაშვილი,
თერჯოლა, 1-ლი საშ. სკოლა, V კლასი.

# ქლესა

**იური იაკოვლევი**

მხატვარი ზაურ დეისაძე

მოთხრობა

ხშირად ვიხსენებ ხოლმე სერიოჟა სოროკინს. პატარა იყო, გალეული, მესამე კლასში იყო, ჩანთას კი მიწაზე მიითრევდა. ტუჩებითა და თითით კითხულობდა, ტუჩებით ბუტბუტებდა, თითს კი პწკარს აყოლებდა, თანაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აჭერდა იმ თითს, თითქოს ეშინოდა, პწკარი არ გამისხლტესო. ისიც მახსოვს, ქლესას რომ ეძახდნენ, თუმცა ეს უკვე მეექვსე კლასში იყო, როცა რუსულის ახალი მასწავლებელი მოგვივიდა, ფელიქსი. ზურგსუკან ეძახდნენ ფელიქსს, თორემ ახალ მასწავლებელს სახელთან ერთად მამის სახელიც ჰქონდა: ფელიქს პეტრეს ძე.

სულ არაფრით არ ჰგავდა დანარჩენ მასწავლებლებს. ხვეული თმა ჰქონდა, წითური, თვალები ღია ფერის, გადმოკარკლული, წვრილი ძარღვებით დასერილი. სახე უფერული, ყბები ჩაცვენილი, თითქოს განგებ შეიწოვაო შიგნით. შუბლზე რამდენიმე ღრმა ნაოჭი აჩნდა. სწრაფი სიარული იცოდა, თითქმის დარბოდა, მიხვრა-მოხვრაც მკვეთრი ჰქონდა. კლასში სულ მერხებს ეჯახებოდა, ხანდახან საკუთარ სკამსაც გადააწყდებოდა ხოლმე. სკოლის პროგრამაც ევიწროებოდა: გარდა დაწესებულისა, ბავშვებს მრავალ საოცარ ამბავსაც უყვებოდა, მაგალითად, მიწისქვეშა მდინარეზე, რომელიც ჩვენი სკოლის ქვეშ, სიღრმეში მიედინებოდა. ისე დაწვრილებით ყვებოდა, თითქოს თავად ებანაოს შიგ ანდა ბაიდარებით გადაეცუროს იგი. ბიჭებს აღუთქვა, იმ ადგილს მოვძებნი, სადაც უჩინარი მდინარე ტბას ერთვისო.

სწორედ ამ ფელიქსის გამო შეარქვეს სერიოჟა სოროკინს ქლესა.

როცა მასწავლებელი დაფაზე ზმნების ან ნაცვალსახელების წასაშლელად დგებოდა, სერიოჟა მერხიდან წამოხტებოდა ხოლმე და ლამის ხელიდან გლეჯდა ფელიქსს ჩვარს. საკონტროლოს შემდეგ იგი მასწავლებელს სახლამდე აცილებდა, თან რვეულების მძიმე დასტას მიათრევდა. ზამთრობით პალტოს ჩაცმაში შველოდა, აჩრდილივით დაჰყვებოდა, და ამის გამო თანაკლასელების დაცინვას იმსახურებდა.

— ეი, ქლესავ, ხუთიანის მიღება გინდა? მიდი, მიდი, სკამი მიუწიე! შემა დაუპე!

თანაკლასელები დასცინოდნენ ამხანაგს და თან ვერაფრით ვერ აეხსნათ, რამ შეცვალა ასე უცბად იგი, რატომ გადაიქცა ნორმალური ბიჭი, რომელსაც გაკვეთილიდან გაპარვაც შეეძლო და ჩხუბიც, ლაქუცად და ქლესად.

ყველამ იცოდა, რომ გრამატიკაში სერიოჟა სოროკინი კარგა გვარიანად მოიკოჭლებდა. სიტყვა «корова»-ში პირველი „ო"-ს მაგივრად „ა"-ს წერდა. მეორე უღლების ზმნების საწყის ფორმაზე ხომ წარმოდგენაც კი არა ჰქონდა. იქნებ იმიტომ დაიწყო სერიოჟა სოროკინმა მლიქვნელობა, რომ რუსული წერის გამოსწორება უნდაო, — ფიქრობდნენ ამხანაგები.

მაგრამ, როცა მორიგ კარნახში სერიოჟას იმ საძულველი „ო"-ს მაგივრად ისევ — „ა" ეწერა ხოლმე, მასწავლებელი კვლავინდებურად უყოყმანოდ უწერდა ორიანს. გულზე რვეულმიხუტებული თვალდახრილი სერიოჟა უჩუმრისპირად ბრუნდებოდა ადგილზე, ამხანაგები კი ქირქილებდნენ და მხრებს იჩეჩავდნენ.

— ეი, ქლესა, — თვალს უკრავდა პირმრგვალი ვასიოკი, — როგორ ცდილობ, თავს იკლავ, რვეულში კი ისევ კუდიანი გიწერია, ხა-ხა!

სერიოჟა იჭმუხნებოდა ამ საძაგელ სიცილზე, ვასიოკს მუშტს უღერებდა და უსიტყვოდ ჯდებოდა მერხზე, თავს ვერაფრით იმართლებდა. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, თავისას არ იშლიდა. ერთი კვირის თავზე იგი ისევ ისე ელოდებოდა მასწავლებელს თოვლიან პარმაღთან და უხმოდ ართმევდა რვეულების დასტას, რომელშიც მისი საკუთარი, ხუთი უხეში შეცდომით დამშვენებული ნაწერიც ერია.

უნდა ითქვას, რომ მასწავლებელი, ეტყობა, თვითონვე გრძნობდა უხერხულობას ასეთი მზრუნველობისგან; უარს ეუბნებოდა ბიჭს დახმარებაზე.

— გაიქეცი, თვითონ წავიღებ. გინდა, ისევ დაგცინონ?

— მერე რა, დამცინონ! — ჯიუტად იმეორებდა ბიჭი, ამოსდებდა ხელთათმანიან ხელს მაგარ კანაფს, რომლითაც რვეულები იყო შეკრული და გვერდით მისდევდა ფელიქსს.

— სერიოჟა, — სთხოვდა მასწავლებელი, — ნეტავ გრამატიკისთვის მოგეკიდნა ხელი, ეცადე.

— აკი ვცდილობ, — მიუგებდა ბიჭი, — საღამოობით ბებია მკარნახობს ხოლმე... კარნახით კი მკარნახობს, მაგრამ შეცდომებს ვერ ხედავს. აი, ჩემი და ჩამოვა არდადეგებზე და... პედაგოგიურში სწავლობს... — მაგრამ და კარგა ხანს არ ჩამოსულა, ხოლო როცა ჩამოვიდა, ძმისთვის ვერ მოიცალა.

ფელიქს პეტროვიჩმა, ბუნებრივია, ბევრჯერ შესთავაზა სერიოჟას დახმარება, მაგრამ ბიჭი კატეგორიულ უარზე იყო.

— მე თვითონ ვეცდები... შევძლებ... — არწმუნებდა იგი მასწავლებელს და როგორც ტორეადორი გამძვინვარებულ ხარს, ისე ეცემოდა ხოლმე იმ თავის უბედურ „Корова"-ს.

ერთხელ ვასიოკი, რომლის თვალს არაფერი ეპარებოდა, ქუჩაში გადაეყარა მასწავლებელსა და მის ერთგულ თანამგზავრს. ისინი ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ ქუჩას, ერთმანეთის გვერდით მიაბიჯებდნენ. მასწავლებელი რაღაცას უყვებოდა ქლესას, ის ყურადღებით უსმენდა და თან იღლიაში ამოჩრილ რვეულების დასტას მიათრევდა.

ვასიოკი აედევნა მათ.

— ის ვარსკვლავები ისეთი მჭიდროები არიან, რომ ყველაფერს მიიზიდავენ, რაც კი გარს არტყიათ, — ამბობდა მასწავლებელი და დათოვლილ ქუჩას მიუყვებოდა, — საკუთარ სინათლესაც კი მიიზიდავენ, და ჩვენ ვერავითარ გამოსხივებას ვერ ვხედავთ. ეს ვარსკვლავები შავი ფერის არიან, მათ „შავ ხვრელებს" უწოდებენ.

— „შავ ხვრელებს"! — გაიკვირვა სერიოჟა სოროკინმა. — რატომ?

– იმიტომ, რომ მათში ყველაფერი ინთქმება.

– ჩვენი დედამიწაც?

– ჩვენი დედამიწა რომ ასეთ ზემჭიდრო ვარსკვლავს მიუახლოვდეს, ვარსკვლავი მიიზიდავდა და ჩანთქავდა. მაგრამ, საბედნიეროდ, „შავი ხვრელები“ შორს არიან.

– კარგია, რომ შორს არიან! – გაუხარდა სერიოჟას, გეგონებოდათ „შავ ხვრელში“ ჩავარდნის საშიშროება უშუალოდ მას ემუქრებოდა, და მაშინვე ჰკითხა: – მიწისქვეშა მდინარის შესახებ როგორღა შეიტყვეთ?

როგორ შეიტყო მასწავლებელმა მიწისქვეშა მდინარის შესახებ, ვასიოკს აღარ გაუგია, იმიტომ რომ მარცხნივ გაუხვია, ისინი კი პირდაპირ წავიდნენ. ეს კია, რომ ვასიოკმა დაასკვნა, სერიოჟა სოროკინი იმიტომ ელაქუცება მასწავლებელს, რომ მან ნაირნაირი მონაჩმახი უამბოს. „შავი ხვრელები“ არა, ის არ გინდა!

როცა წვიმას იწყებს, ტბისპირა ყვითელ ქვიშაზე მუქი ლაქები ჩნდება და ნაპირი რაღაც მხეცის ტყავს ემსგავსება. იქნებ მართლაც წევს ასეთი ტყავიანი მხეცი წყალთან, და ტალღები კი არ ადი-ჩადიან, არამედ სულაც ის მძინარე მხეცი სუნთქავს? – ასე ფიქრობდა სერიოჟა სოროკინი, როცა ტყეში მოცვზე მიდიოდა. წვიმა მხრებსა და თმას უსველებდა. ჯობდა შინ დაბრუნებულიყო, მაგრამ სერიოჟამ ნაბიჯს აუჩქარა და მალე ტყეში აღმოჩნდა. ტყე დაბალი იყო და ჭაობიანი. დაბალ, ტანდაღრეცილ არყის ხეებთან ნორჩი ფიჭვები მეზობლობდნენ. ხავსმოდებული მიწა ფეხქვეშ ირწეოდა. ირგვლივ ლემას სუნი იდგა. სადღაც შორიდან, ცეცხლმოდებული ჭაობის მხრიდან მომწარო კვამლის სუნი აღწევდა.

მოცვი ბევრი იყო, მიწაზე მიმობნეული ნაპერწკლებად ენთო მთელ ტყეში.

მოულოდნელად ტყის სიღრმეში სროლის ხმა გაისმა, მწყემსის შოლტის ტკაცუნს ჰგავდა ის ხმა. ბიჭი შეფიქრიანდა, გონება აუფორიაქდა. უნებურად იქით გაემართა, საიდანაც სროლა მოისმა. მერე ისევ გაისმა სროლის ხმა, მერე ისევ... ცუდმა წინათგრძნობამააჩქარა ბიჭი, გაიქცა. მოულოდნელად სულ ახლოს ნაცნობი ხმა მოესმა.

— მე თქვენი არ მეშინია. თქვენ გეშინიათ ჩემი, აგე, თოფებიც შემართული გაქვთ! — ფელიქს პეტროვიჩის ხმა იყო. ბიჭმა იცნო იგი. კოლბოხიდან კოლბოხზე გადახტა, ტოტები გადასწია და მასწავლებელი დაინახა. ფელიქსი გაფითრებული იდგა. თვალები ანთებოდა, მარცხენა ხელით მარჯვენა მაჯა ეჭირა. წინ ორი თოფმომარჯვებული კაცი ედგა, — ერთი უფრო მაღალი იყო, მაღალყელიანი რეზინის ჩექმებითა და გასიპული კარტუზით, მეორე, უფრო დაბალი და მკვრივი, ტყავის ქურთუკით.

— წადი რა, შენი გზით იარე! — ყრუდ უთხრა მომაღლომ.

– წავიდოდი, მაგრამ აბა, თქვენა დგახართ ჩემს გზაზე და როგორ გავიარო? — უპასუხა მასწავლებელმა. – ციყვების დახოცვას არ დაგანებებთ, ხალხი ხელით აჭმევს მათ, თქვენ კი...

– გამომივიდა გულკეთილი! – ჩაურთო ტყავიანმა.

— აქ გარშემო სულ არყის ხეები და კოლბოხებია, – სასხვათაშორისოდ შენიშნა მაღალმა, – სულ ადვილად შეიძლება ციყვს დაუმიზნო და ააცილო. ჰოდა – „უბედური შემთხვევაც“ არ აგცდება.

– თქვენგან ყველაფერი მოსალოდნელია, – მშრალად უპასუხა მასწავლებელმა და მიმოიხედა, თითქოს ვიღაცის დანახვის იმედი ჰქონდა. – თქვენთვის მკვლელობა წყურვილის მოკვლასავით არის. აბა, რაში გარგებთ ამ პატარა ციყვის მოკვლა? ქუდიც ხომ არ გამოგივათ მაგის ბეწვისაგან.

– გეყო ლაქლაქი! – დაუყვირა მაღალმა, – წახვალ თუ არა?! – და თოფი შემართა.

სერიოჟა სოროკინს მიწაზე დაცემა, თვალების დახუჭვა და ყურების დაცობა მოუნდა. რითი უნდა ეშველა მასწავლებლისათვის? თოფი არ ჰქონდა, არც იმდენი ძალა გააჩნდა, რამდენიც იმ ორს, მაგრამ იგრძნო, რომ მოვალეა! მოვალეა და მორჩა.

ტირიფები შეირხა, ლეშხი ჩამოიბერტყა. ბილიკზე უხმაუროდ გამოვიდა ბიჭი. იგი არც ყვიროდა, არც მორბოდა, არც ხელებს იქნევდა. უბრალოდ გამოჩნდა სველი, წვიმისაგან ბალახივით გალუმპული თმებით.

– შენა ხარ? – წარმოსთქვა მასწავლებელმა, მის ხმაში გაოცება უფრო მეტი იყო, ვიდრე სიხარული. – ბევრი მოკრიფე?

ბრაკონიერმა თოფი დაუშვა.

კარგა ხანს ოთხივენი ჩუმად იდგნენ. რისი შეცვლა შეეძლო ამ გახნაპულ, სიცივისაგან გალურჯებულ ბიჭს? მაგრამ მისი გამოჩენაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ იმ ორს უკან დაეხია. ახლა უკვე ველარ მოხდებოდა ის „უბედური შემთხვევა“. გარდა არყის ხეებისა, კოლბო-



ხებისა და ლემას ბუჩქებისა, ცოცხალი ადამიანიც გამოჩნდა.

— ეშმაკსაც წაუღიხარ! — ბოლმით შეიკურთხა ჩექმებიანმა და წავიდა.

— ვითომ, თვითონ არ მიირთმევდნენ ხორცს სადილად, — ჩაიბურტყუნა მისმა ძმაკაცმა და თოფი მხარზე გადაიკიდა.

მასწავლებელი და მოწაფე ბილიკზე იდგნენ და თვალით მიაცილებდნენ მათ.

— შენ ნამდვილი მეგობარი ხარ, — უთხრა მასწავლებელმა, მაგრამ ბიჭმა თავი გადააქნია.

— განა შეიძლება მოწაფე მასწავლებელთან მეგობრობდეს? დაუშვებელია. მე ხომ ქლესას მეძახიან.

— ვინა თქვა, დაუშვებელიაო? ვის შეუძლია ადამიანს ადამიანთან მეგობრობა დაუშალოს?

მასწავლებელმა ბიჭს მხარზე ხელი დაადო და ისინი სახლის გზას დაადგნენ.

ტყეში მომხდარ ამბავს ვერც ვერავინ გაიგებდა, მაგრამ მალე ბრაკონიერები სხვა შემთხვევის გამო ჩავარდნენ და ახლა მათი საქმე სასამართლოში ირჩეოდა. მასწავლებელი და მისი პატარა მეგობარი მოწმეებად გამოიძახეს.

ასე გაიგო მთელმა სკოლამ, რომ სერიოჟა სოროკინი, იგივე „ქლესა", შეიარაღებულ ბრაკონიერებს არ შეეპუა და მასწავლებელი სიკვდილს გადაარჩინა. ყველა ელოდა, რომ ახლა მაინც შეიცვლებოდა რაიმე, რომ ორიანებს ბოლო მოეღებოდა.

და როგორ განაცვიფრა ბავშვები იმ ამბავმა, რომ სერიოჟა სოროკინი რუსული წერის გამო შემდეგ კლასში არ გადაიყვანეს. მთელი ზაფხული უნდა ემეცადინა, შემოდგომაზე საკონტროლო კარნახი უნდა დაეწერა. ამას კი აღარავინ მოელოდა ფელიქსისაგან. კლასი აღშფოთებას ვერ ფარავდა.

— ამბობდნენ კია, მეგობრები არიანო! — ცხარობდნენ ბიჭები. — რა მეგობრობაზე შეიძლება ლაპარაკი! რაღაც „შავ ხვრელებზე" უყვება, თვითონ კი იმ „შავი ხვრელივით" ჩაითრია სერიოჟა.

მხოლოდ ორი ადამიანი არ ღებულობდა მონაწილეობას ამ მითქმამოთქმაში. ყურადღებასაც არ აქცევდნენ, თითქოს მათ სულაც არ ეხებოდა. ეს ორნი სერიოჟა და ფელიქს პეტროვიჩი იყვნენ. არავითარი პრეტენზიები ერთმანეთის მიმართ მათ არ ჰქონიათ, არც წყენა ჰქონიათ რაიმე, რაღაც თავიანთი წესებით ცხოვრობდნენ.

მხოლოდ ზაფხულის დამდეგს შედგა მათ შორის გულახდილი საუბარი.



— ყური დამიგდე, სერიოჟა, — უთხრა ფელიქს პეტროვიჩმა, — ამ ზაფხულს არსად არ წავალ, შენ მოგამზადებ, ასე გადავწყვიტე.

— არა, — იუარა სერიოჟამ, — თანახმა არა ვარ. მე თვითონ მოვემზადები.

— ხომ ხედავ, რომ არ გამოგდის. ბებია შეცდომებს ვერ ხედავს, და პედაგოგიურში კი სწავლობს, მაგრამ შენთვის არა სცხელა. მე კი მცალია.

— არა გცალიათ, — უთხრა მოულოდნელად სერიოჟამ. — თქვენ მკურნალობა გჭირდებათ.

— მკურნალობა? — მასწავლებელი გაოცებით მიაჩერდა ბიჭს. — რატომ გგონია?

— თქვენ ხელი გტკივათ, მარჯვენა.

— განა როდისმე დამიჩივლია, ხელი მტკივა-მეთქი?

— მე ვხედავ, რომ თქვენ დაფის გაწმენდა გიჭირთ და რვეულების ტარებაც.

მასწავლებელმა გაკვირვებით შეხედა ბიჭს. — სერიოჟა სოროკინს არც ბევრი უცხოვრია ამ ქვეყანაზე და არც რაიმე გამოცდილება დაუგროვებია, მაგრამ მას შეუძლია შეამჩნიოს ის, რასაც სხვები ვერ ამჩნევენ, ჩასწვდეს ადამიანის საიდუმლოს და დახმარების ხელი გაუწოდოს მას. ამხანაგები კი „ქლესას" ეძახიან.

— მე მთამსვლელი ვიყავი, — მოულოდნელად გადაუხსნა ფელიქს პეტროვიჩმა სერიოჟას გული. — ხუთი ამხანაგი უნდა გადაგვერჩინა. ნაპრალიდან ამოვიყვანეთ გაყინულები. მაშინ იყო, რომ დავშავდი მაგრად. მარჯვენა ხელის ორმაგი მოტეხილობა და ასე შემდეგ...

— მე ვიცოდი, რომ თქვენ ჩვეულებრივი ადამიანი არა ხართ, — თქვა ბიჭმა, ისე, რომ არავითარი გაკვირვება არ გამოუხატავს. — იმიტომაც დუმდით, გეშინოდათ, შემიბრალებენო.

მასწავლებელმა მარცხენა ხელი მარჯვენას მოსწყვიტა და წითურ ხვეულ თმაზე გადაისვა, მერე ენერგიულად მოისრისა შუბლი, თითქოს ნაოჭების გასწორებას ლამობდა.

— მე მიჭირს შენთვის ორიანების წერა, — უთხრა ბიჭს და თვალი მოარიდა.

— ვიცი! — სერიოჟა სოროკინმა მართლა იცოდა ეს, — მაგრამ აღარ მოგიწევთ.

— სხვა სკოლაში გადახვალ? — მასწავლებლის ხმაში შიში გამოკრთა.

ბიჭმა თავი გადააქნია.

— მაშინ ვიღა დაგეხმარებათ?

მასწავლებელი დიდხანს დუმდა. მერე თქვა:

— ხელი მალე შემიხორცდება, ძვლისმიერი კოჟრი განმივითარდება და ისევ წავალ მთაში. თუ გინდა, თან წაგიყვან.

თარგმნა
მანანა გელაშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა




# კოცონი

## «მოკრივეს» ხელთათმანები ჩამოართვეს

ბიჭუნა ბორჯომ-თბილისის მატარებელში ჩემკენ ზურგშექცევით იჯდა, საოცრად დაძაბული იყო, გეგონებოდათ, სადაც არის, ადგილიდან მოწყდება და გაიქცევაო.

შეკითხვაზე არ მიპასუხა.

დათო ბანაკიდან გამოქცეული აღმოჩნდა.

ძლივს დავითანხმე, ორივენი ხაშურის სადგურში ჩამოვედით და ბანაკში მანქანით დავბრუნდით.

დათოს გაქცევის მიზეზზე პირველრაზმელებს სიტყვა ვერ დავაცდენინე, ყველაფერი მეორერაზმელებმა მიამბეს.

დათო და ირაკლი თავიდან სულ რაღაც უმნიშვნელო რამეზე შეკამათებულან. ირაკლის ბანაკში მოკრივის ხელთათმანები ჩამოეტანა და ჩამოსვლისთანავე პირველრაზმელებს მისთვის „მოკრივე" შეერქმიათ.

ბიჭები მის ხელთათმანებს თვალს ვერ აცილებდნენ. ირაკლის თავი მოსწონდა. მოკრივის ხელთათმანი მას ყველას თვალში ძლიერსა და ვაჟკაცურს ხდიდა.

დათოს კი არც ხელთათმანები და არც ირაკლის უძლეველობა არაფრად არ ჩაუგდია. უურადღებას რატომ არ მაქცევსო, ირაკლმა თურმე აითვალწუნა დათო. ერთხელაც წაეკამათნენ. ყველაფერი ამის მომსწრე მეორერაზმელები იყვნენ.

— განა არა, — დაიწყო ერთ-ერთმა, — დათო „მოკრივეს" პირისპირ დაუდგა და არ შეეპუა, რაღაცას უმტკიცებდა კიდეც; არა და ირაკლი დათოზე მაღალიც არის და წარმოსადეგიც, ძლიერიც ჩანს და ბრაზიანიც. დათო მასთან შედარებით ფიზიკურად სუსტია, მაგრამ წარმოიდგინეთ, გული ერჩის, არც კი განძრეულა.

— ჰა, მოდიხარ? მხდალო, რას ელოდები, — და ირაკლიმ ისე ძლიერად მოუქნია ხელი, გეგონა თავს წააცლიდა; დათომ მოქნეული მუშტი აიცილა, წონასწორობადაკარგული „მოკრივე" კი ადგილზე შებზრიალდა!!!

ირაკლიმ კიდევ მოუქნია დათოს ხელთათმანიანი მუშტი.

დათომ ისევ აიცილა.

მაშინ კი გაბრაზდა ირაკლი.

დათო ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა, მუშტი ერთხელაც კი არ მოუქნევია. მაგრამ ოსტატურად არიდებდა თავს „მოკრივის" მოქნეულ მუშტებს. ბოლოს ზურგი შეაქცია და წავიდა.

— ლაჩარი, გარბის! — დაადევნა გაანჩხლებულმა „მოკრივემ" და ჩვენც დავიშალეთ. დათო ბანაკის ტერიტორიიდან ტყეში გაიქცა. როცა მოვძებნეთ, ბალახებში თავჩარგული იწვა. არჩილ ხელმძღვანელიც ჩვენთან იყო.

დათომ ხმა არ გაგვცა, ადგა და ბანაკში წამოგვყვა. გზაში „მოკრივეზე" საუბრის წამოწყება რომ ვცადეთ, მხარი არ აგვიბა. გაიცინა და თქვა: — დედას დავურეკავ, ბანაკში თქვენთან არ დავრჩებიო.

მეორერაზმელებმა ბანაკში ამ ორი ბიჭის

## მთები — ჩემი ოცნება

1983 წელს საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციამ და ბავშვთა სურათების გალერეამ ჩაატარეს ღია კონკურსი, რომელიც საბჭოთა მთამსვლელობის 60 წლისთავს მიეძღვნა. გამოფენა-კონკურსი „ჩემი მთები" — ოღონდ ამჯერად საკავშირო მასშტაბით — მესამედ ტარდება.

გამოფენებს დიდი მოწონება ხვდა წილად როგორც თბილისში, ახევე მოსკოვში.

მოსკოვურმა პრესამ უჩვეულო გამოფენის ორგანიზატორთა მიმართ მადლობის სიტყვები არ დაიშურა და იქვე დასძინა: „რაოდენ დასანანია, რომ ჯერ მხოლოდ საქართველოში ტარდება ასეთი საინტერესო კონკურსებიო" (თუმცა სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, საქართველო ხომ ერთ-ერთი პირველთაგანია ჩვენს ქვეყანაში, სადაც საფუძველი ჩაეყარა სპორტის ამ სახეობას).

ალპინიზმი არ არის მხოლოდ კლდისა და ყინულოვანი სიმაღლეების დაპყრობის სპორტი. იგი ადამიანებს ასწავლის

ურთიერთობიდან სხვაც ბევრი რამ გაიხსენეს. ჩემთან ირაკლისა და დათოს თანარაზმელები გაამტყუნეს.

პირველრაზმელები კი დუმდნენ და გვისმენდნენ.

დათოს ტუჩები უთრთოდა. ქოჩორაჩეჩილი, განაწყენებული ბიჭი იჯდა და დუმდა.

— თქვენ, რა, დათოს ლაჩრად თვლით? — ვკითხე მის თანარაზმელებს ალეკოსა და თენგოს.

ბიჭებმა მხრები აიჩეჩეს.

— თვითონაც გაანძრიოს ხელი, რა თავზე წამოისკუპა, „მოკრივის“ ეშინია? ადამიანმა თავისი ღირსება ყოველთვის, ყველა სიტუაციაში უნდა დაიცვას.

— შეხედეთ ირაკლის რა, ხელთათმანები უკეთია, თან გულიც ერჩის, ის კი...

— რა ვიცი, ეგ შენი „მოკრივე“ თავისივე მუშტების ტრიალმა კი გადააკოტრიალა და... — ერთმანეთს არ აცლიდნენ ბიჭები;

ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, ერთნი „მოკრივეს“ ამტყუნებდნენ, მეორენი, დათოს.

— მე, რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, ასე შერცხვენილი აქამდეც მოვუსვამდი აქედან, — აკრიტიკებდნენ ზოგიერთები დათოს.

მესმოდა სიტყვები „ღირსების დაცვა“, „სიმამაცე“, „გაბედულება“— ერთი კია, ბიჭური ღირსებით წარმოთქმული მათი ეს სიტყვები ჩემს წინ ფუჭი კაკლებივით ცვიოდა დაბლა.

ჩხუბში ჩაგითრიეს? შენც უნდა ჩაერთო. რა ბიჭი ხარ, შენი ვაჟკაცობა თუ ვერ დაამტკიცე?!

ნუთუ დათოსთვისაც ასეთია ღირსების დაცვის წესი?

ჩემს შეკითხვებს დათომ თავიდან დუმილით უპასუხა, მაგრამ ბოლოს ალაპარაკდა...

— თქვენ გგონიათ, მუშტი იმიტომ არ ავღმართე, რომ ირაკლი ძლიერია და მეშინია, სულაც არა, მე მასზე ძლიერი ვარ! მესამე წელია კრივში ვვარჯიშობ, ხელთათმანები ჩამოიტანა და ამიტომ შეარქვით „მოკრივე“. ლამის არის თავისი ხელთათმანებით მთელი ბანაკი აიკლოს, თავს გაუვიდა. თქვენ კი ისიც არ იცით, რომ მოკრივემ თავისი ძალა მხოლოდ რინგზე უნდა უჩვენოს, ასეთია ჩვენი წესი. მწვრთნელის ბრძანებით უფლება არა მაქვს ვიჩხუბო და აქ მუშტი-კრივი გავიმართოთ. ხელთათმანები არ წამომიღია; განა არ მქონდა და არ შემეძლო თქვენი გრძელკანჭა ირაკლი ერთი მაგრად მიმებეგვა?! მაგრამ აქ საამისო ადგილი არ არის. რა უნდა გელაპარაკოთ, მხდალები თქვენა ხართ, რომ ხელთათმანმა დაგაფრთხოთ.

არ შემიძლია უაზრო ჩხუბში ჩართვა! კრივი, ჩხუბი როდია. მეც კი შემეძლო მეტრაბახა, კრივის ყველა ილეთი ვიცი-მეთქი. დარწმუნებული ვარ, წინ არავინ დამიდგებოდა, მაგრამ მწვრთნელმა გა-მა-ფრთხილა, გესმით? და-მა-ბა-რა კიდეც, — დათო, ასეთი რამ არამც და არამც არ გა-ბე-დო! არ დაგუჭერო?

— მერედა, რატომ თვლი, რომ შენი ღირსება არ დაიცავი? — შევაწყვეტინე დათოს. — ჩემი აზრით ძალზე ღირსეულიც არის, ძლიერმა სუსტი არ დაჯაბნო და საკუთარი სიძლიერით არ გაყოყოჩდე.

დათომ კვლავ განაგრძო:

— შეხეთ, როგორ მიყურებენ (დათომ „მოკრივეს“ და თავის თანარაზმელ ბიჭებს გადახედა). როგორ გგონიათ, ესენი დამიჯერებენ, რომ ლაჩარი არა ვარ? აი, რა არის მთავარი!

პირველრაზმელებთან ვისაუბრე.

ჩანდა, ისინი ვერ გაერკვნენ ორი ბიჭის ჩხუბის მიზეზში.

ცნობილი მოკრივე დავით კვაჭაძე ვახსენე, რომელიც კრივის ილეთების ცოდნით არასოდეს ყოყოჩობდა და ჩხუბს ყოველთვის ერიდებოდა, ჭეშმარიტი სპორტსმენი, თავის სიძლიერეში დარწმუნებული მოკრივე, არასდროს დაიწყებს მუშტების ტრიალს, ყოყოჩობას, ცემით მუქარას.

უსინდისობად ითვლება შენზე სუსტ, უდანაშაულო ადამიანებთან ჩხუბის ატეხვა, ნამდვილი ძალა იქ უნდა გამოიჩინო, სადაც საჭიროა.

ბიჭები გვისმენდნენ.

დათომ, თითქოს ხელს რაღაცას ძალზე უჭერსო, მაგრად შეკრა მუშტები.

— ვინ უშლიდა, დათოს ადრეც ეთქვა ის, რაც ახლა გვითხრა. პირველრაზმელები კი მართლაც ტყუიან, დათოს არ მიეშველნენ. კიდევ კარგი, მივუსწარით... თუმცა რა საჭიროა ამ დროს ცერემონიები? გარტყმა დაგიპირა? შენც პასუხი უნდა დაუბრუნო. დათოს მაშინვე რომ გაეცა პასუხი, ყველაფერი წესრიგში იქნებოდა. რაკი მოკრივის განაწესი დაარღვია, ირაკლის უნდა ჩამოერთვას ხელთათმანები! — ასეთი განაჩენი გამოუტანეს ირაკლის მოქმედებას მეორერაზმელებმა.

ასეც მოხდა. ირაკლის მთელი ბანაკის თვალწინ ჩამოართვეს მოკრივის ხელთათმანები, ისიც გაირკვა, რომ მას კრივის სექციაში არასოდეს უვლია. ბიჭი გამოტყდა კიდეც, ბანაკში რომ მოვდიოდი, მეზობლის ბიჭს გამოვართვი ხელთათმანებიო.

— „თუ ძალა გაქვს, ჭკუა საჭირო არ არის“ — ეს ანდაზა სასაცილოდ მას იგდებს, ვინც ყოველგვარ სიტუაციაში იმედს მხოლოდ მუშტებზე ამყარებს, — თქვა დათომ და გატრიალდა.

შევატყვე, როგორ ამაღლდა ყველას თვალში დათო, მან ხომ მწვრთნელის განაწესი შეასრულა, მოკრივის ხელთათმანებით „შეიარაღებულ“, მაგრამ სუსტ მოწინააღმდეგეს არ სცემა.

ეს შემთხვევა იმიტომ გავიხსენე, რომ პიონერთა ბანაკებში ანძებზე უკვე ფრიალებენ ალმები, ბანაკებში საინტერესო ცხოვრებაა გაჩაღებული. რაზმეულებისა და რაზმების საბჭოების თავმჯდომარეებო, რგოლის ხელმძღვანელებო, აქტივისტებო, ყურადღებით იყავით, ასეთი რამ თქვენთანაც არ განმეორდეს.

ვაჟკაცობის, მეგობრობის, ურთიერთდახმარების, გამძლეობის, ნებისყოფის, უნერგავს მაღალ გრძნობებს, სინაზეს, მშობლიური ქვეყნის ბუნების სიყვარულს.

ჩვენი კონკურსის მიზანი და ამოცანა მთამსვლელობისა და მოგზაურობის პოპულარიზაცია, მშობლიური მხარის შესწავლა, მოსწავლე ახალგაზრდობაში ესთეტიკური და სპორტული ჩვევების დანერგვა, შემოქმედ ბავშვთა გამოვლენაა.

კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან მივიღეთ ბავშვების ნამუშევრები, მათ შორის იყო ნახატები, ნაძერწები, კერამიკა, ქარგულობა და სხვ. საიუბილეო შეკრება თბილისში ჩატარდა. გამოფენის სტუმრები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. ყველა ერთხმად აღიარებდა ბავშვების ალღოს, ფერთა [illegible] მიღწეულ ეფექტს. ბავშვები ნახატებში გვთავაზობენ ხერხებს, რომლებიც ალპინისტებს ამა თუ იმ სიძნელეებისაგან თავის დაღწევას „გაუადვილებდა“ — აი, ნახატზე ვერტმფრენი, რომელიც უწვალებლად მწვერვალზე ჩამოსვამს ალპინისტს; აი, მთიდან მთაზე გაყვანილი რკინიგზის ლიანდაგი („ეს ხომ მწვერვალის დაპყრობის მოხერხებული საშუალებაა“); ეგერ კიდევ — მთიდან მთაზე გადებული ხიდი... სხვას გვირაბი გაუჭრია მწვერვალზე უვნებლად ასვლის მიზნით. სხვადასხვა ფერის მთები — ლურჯი, შავი, ყვითელი, ფერადოვნად ამეტყველებული...

ზოგი—ცაში აწვდილი, ზოგი—სამკუთხა ფორმისა, ზედ რომ თოკით გადაბმული კაცუნები—ალპინისტები ადიან... თუ გავიხსენებთ, რომ ბევრ ავტორს თვალითაც არ უნახავს ყინულოვანი მთები, არ განუცდია მათი სიდიადე და არ იცნობს იმ სიძნელეებს, რომლებიც ალპინიზმს ახლავს, ძნელია წარმოვიდგინოთ, როგორ მოახერხეს ბავშვებმა ასეთი სისწორით, სიძლიერით, გასაოცარი გულწრფელობითა და ფერთა სათცარი ქლერადობით თავიანთი განცდის გადმოცემა.



თუშეთის მთები — ქეთევან მიქელაძე, 9 წლის.

გამოფენის დამთვალიერებელთა ჩანაწერებიდან (ყოველ მათგანში ექსპონატებით გაოცება და აღფრთოვანება რომ იგრძნობა) მხოლოდ ორ ჩანაწერს შემოგთავაზებთ:

„ბავშვები, რომლებიც მთებს ხატავენ, უახლოვდებიან მათ და თვით ხელოვნებასაც ეზიარებიან. დიდი მადლობა ამ შესანიშნავი კონკურს-გამოფენის თაოსნებს".

ი. ანტონოვიჩი (მოსკოვი), სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, მხატვარი.

„ბავშვების ხატვური უშუალობით დანახული და ტილოზე გადატანილი ჩვენი მთები, რომლებიც ასე გვიყვარს. ბევრი ნამუშევარი იმის დასტურია, რომ ნოყიერ ნიადაგზე ათეული ნიჭიერი მხატვარი და მთამსვლელი აღიზრდება".

რ. პროსკურიაკოვი, სპორტის ოსტატი, ა. ხამიდაევი, მთამსვლელი, ინსტრუქტორი.

ელენე ბორბაძე,
ბავშვთა სურათების გალერეის სამხატვრო ხელმძღვანელი.



სოფელი მთის ძირას — ლაშა კინწურაშვილი, 12 წლის.

# სარჩევი


მ. კარგარეთელი — დაიმახსოვრეთ ის დღე (ნარკვევი) . გარეკ. 2
მ. შავლიაშვილი — როცა ქინვალჰესს გაუშვებენ (ნარკვევი) 3
მ. ჩხეტიანი — კორჩაგინი (ლექსი) . . . . . . 5
ზ. ტაბაღუა — შეცდომა (მოთხრობა) . . . . . . 6
რ. ლომინაძე — საქართველოს ახალგაზრდობა XII მსოფლიო ფესტივალზე (წერილი) . . . . . . . . 12
დ. ვადაჭკორია — ყოჩივარდები (მოთხრობა) . . . . 15
ახალი წიგნები . . . . . . . . . 17
ნ. ხარაზიშვილი — გატაცებების ბიჭი (ნარკვევი) . . . 18
გ. ჭიჭინაძე — უცნაური კონცერტი; სისუფთავის კაცი; ბუხართან (ლექსები) . . . . . . . . . 20
აისი . . . . . . . . . 21
გ. მიზანდარი — ჩემი მეგობარი ზიონგ-საი-ჩიო (წერილი) . . 23
მეთორმეტე რესპუბლიკური (ფოტომონტაჟი) . 24
ი. იაკოვლევი — ქლესა (მოთხრობა) . . . . . . 27
კოცონი . . . . . . . . . 30
ე. გორგაძე — მთები — მათი ოცნება (წერილი) . . . . 30
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. . . . 3


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა აკაკი თევზაძისა.


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჟუმბურიძე.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-58-05, განყოფილებების—93-97-92, 93-97-01.

გადაეცა ასაწყობად 24. 04. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 06. 85 წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. № 989. ტირაჟი 157.000 ეგზ., უე 05225.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 157.000 экз. Цена 20 коп.



© „პიონერი", 1985 წ.



## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. საცირკო წარმოდგენისათვის განკუთვნილი ბრეზენტის კარავი; 4. ქართველი პოეტი; 10. გამოცდილება, დახელოვნება რაიმე საქმიანობაში; 11. ცხენის ტანისა და ადამიანის გულმკერდისა და თავის მქონე არსება ბერძნულ მითოლოგიაში; 13. ვარდისებრთა ოჯახის საშუალო ტანის ხე; 14. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 15. ქართული სიგრძის საზომი ერთეული მეტრული სისტემის შემოღებამდე; 18. აბრეშუმის ქსოვილი; 19. ძერწვის ხელოვნება; 20. ქართველი მომღერალი; 24. ქართველი ფეხბურთელი; 26. სახელმწიფო წყობილება, მმართველობის წესი; 29. ცხენების ჯოგი; 30. ქიმიური ელემენტი, კეთილშობილი ლითონი; 31. ატმოსფერული მოვლენა; 34. უმცროსი მედიცინის მუშაკი; 35. ძველებური აღმოსავლური ქალთა ცეკვა; 36. მანქანის დაზიანება, რაც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის; 37. მაგარნაჭუჭიანი ნაყოფის მქონე ხე.

**შვეულად:** 1. პოლონელი კომპოზიტორი; 2. რუკის სატარებელი ბრტყელი ჩანთა; 3. იტალიელი კინომსახიობი; 5. ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი; 6. ხევზე ან რკინიგზაზე აგებული ხიდი; 7. ფასიანი ქაღალდების გამოშვება; 8. ფიზიკის დარგი; 9. ალ. ტოლსტოის რომანი; 12. ქათინაური; 16. ინგლისელი ფიზიკოსი; 17. რამდენიმე სართულად გამართული თაროები; 21. მე-16 საუკუნის იტალიელი ფერმწერი; 22. მეორე მსოფლიო ომამდე არსებული ევროპის სახელმწიფო; 23. ვერცხლისწყალთან ლითონის შერევით მიღებული ხსნარი ან შენადნობი; 25. შავიზღვისპირა კურორტი; 27. წყლის საღებავებით დახატული სურათი ახლად შელესილ კედელზე ან ჭერზე; 28. ლითონის მოსაპოვებლად გამოსადეგი ლითონის შემცველი ქანი; 32. გადასახსნელ სახურავიანი ქოთანი; 33. იალქნის დასამაგრებელი ძელი.



შეადგინა კ. გაბუნიამ

## მეტაგრამები

●

წყლის ტრანსპორტია,
მეზღვაურები
გაჰყავს მდინარის გაღმა, —
ამ სიტყვის პირველ თანხმოვანს
თუკი შეუცვლი ახლა, —
ოთხბორბლიანი საზიდრის
სახელწოდება გახლავს.
ისევ შეცვალე ის ბგერა,
რომელიც უზის თავში,
შავი ფრინველის სახელად
გადაიქცევა მაშინ.

●

მიმატების შედეგად
მიღებული რიცხვის
ოთხი ბგერით სათქმელი
სახელი თუ იცი,
შეუცვალე ხმოვანი
ბოლოში რომ უზის,
აქლემია ფეხმარდი,
ადგას ერთი კუზი.

●

უჩინარი და სწრაფი
ფრთებით ევლება მთა-ბარს,
ხეებს თავს უხრიან,
მითხარ, რა არის აბა?
გამოუცვალე მერე
იმ სიტყვას წინა ბგერა, —
სმენას დაგიტკბობს წამსვე
საკრავის სიმთა ჟღერა.
თუ შეიცვლება კვლავაც
პირველი ბგერა მისი,
პასუხად, ჩემო კარგო,
აწკრიალდება ისიც.

●

აბა, ხალხური ზღაპრიდან
თუ გაიხსენებ, ირმა,
ძმობილის გადასარჩენად
ლორს რა მოსთხოვა რწყილმა?
ხოლო მეორე სახელის
პირველი ბგერით ახლა
ის თანხმოვანი შეცვალე,
რომელიც ბოლოს ახლავს —
და იგი ერთად ასხმული
ყურძნის მტევნები გახლავს.

●

შეირხა კარის ბადე,
ტრიბუნებს მოსწყდა ტაში,
ფორვარდმა ზუსტი დარტყმით
რაც გაიტანა კარში,
თუ შეიცვლება მისი
ბგერა მჯდომარე თავში,
ის მინდორ-ველებს მწვანედ
ააბიბინებს მაშინ.

შ. ამირანაშვილი

## გამოცანები

ბაბუამ ხისგან გამთალა,
ხელით მაცეკვებს ბებია,
წელზე ათასი ქამარი
უწყვეტად შემომხვევია.

●

ერთ ფარფლებიან ბუდეში
მრავალი წვრილი კვერცხია,
დილიდან დაღამებამდე
თავზე დაჰხარის მზეწვია.

●

უყვარს თავთუხის ყანები,
ნიავით ნალალანები,
ალისფერ გვირგვინს უმშვენებს
გიშრის შავ-შავი ხალები.

●

მიწაში რომ ჩავძვერი,
განა რამე მაშინებს?
რასაც ჩამომძახებენ,
ვიმეორებ მაშინვე.

ც. გაგაძე

### პასუხი № 5-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

**კროსვორდი**

**შვეულად:** 1. ერმიტი; 2. ვიდინი; 3. გვალვა; 4. აიმარა; 6. სეული; 8. რიონი; 10. ანაგრამა; 12. ნატურალისტი; 13. სვავი; 15. ღვინო; 16. სარაჯიშვილი; 17. ალიზი; 18. ადლია; 23. დაფნა; 24. ალჰამბრა; 25. პრალა; 28. რიკოთი; 30. ლატალი; 31. თელა; 32. ერდო.

**თარაზულად:** 5. ბრესტი; 7. ვარძია; 9. დალამვა; 11. მილტინისი; 14. ადიხაბება; 17. არმია; 19. ლანდაუ; 20. სიო; 21. ალი; 22. ჩინეთი; 26. იალტა; 27. კორიდა; 29. აჭილლა; 31. თიბათვე; 33. მთვარე; 34. როიალი.

**გამოცანები**

მთვარე, დოძი, წელიწადის 4 დრო, წყალი, წრიაპი, ნაგადი, ნამგალი, ლოგმძვრალა, ძარი.

**შარადა**

გამარჯვება

6137/88

ინდექსი 76157 ფას



მთამსვლელები — ლევან ლონდარიძე, 11 წლის.



ბარაკონი (რაჭა) — ნიკო ჩლაიძე, 12 წლი

## მოსწავლეთა შემოქმედება

# მთები — მათი ოცნება



გზა მწვერვალებისაკენ — ნიკო ჩოხელი, 12 წლის.



სამი კოშკი — ზაზა სუქიაშვ
11 წლი



თეთრი მთები და წითელი მზე — დათო გერულავა, 9 წლის.



თეთრი ქარავანი — ირმა ლეჟავა, 10 წლი